პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 244 (10330) | პარასკევი, 14 ოქტომბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

საით მიდის ირანი? — „პრავდის“ 13 ოქტომბრის მოწინავე (1-ლი გვერდი).

შავი ზღვის ფლოტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ახალ ხუთწლედში (მე-2 გვერდი).

ა. შარაშიძე. — მეტი ყურადღება ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას (მე-2 გვერდი).

დ. კობალაძე, დ. პაიჭაძე. — ერთი რაიონის ავკარგი (მე-2 გვერდი).

გავაძლიეროთ საშემოდგომო თესვის ტემპი (მე-3 გვერდი).

ლენინგრადში მოვიდა ინგლისის სამხედრო ხომალდების რაზმი (მე-3 გვერდი).

პორტსმუტს ჩავიდა საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

საით მიდის ირანი?

უცხოეთის დეპეშათა სააგენტოების ბუშინ გამოქვეყნებული ცნობებიდან საბჭოთა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ირანის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მიემხროს ინგლისი-თურქეთ-ერაყ-პაკისტანის სამხედრო კავშირს, რომელიც ცნობილია ბაღდადის პაქტის სახელწოდებით.

ცნობა ირანის მთავრობის ამ ნაბიჯის შესახებ გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჰოსეინ ალამ. იგი გამოვიდა ირანის სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში და გამოაქვეყნა იმ ნოტის ტექსტი, რომელიც ირანმა ერაყს გაუგზავნა. 12 ოქტომბერს ირანის მთავრობამ სენატს სასწრაფოდ განსახილველად წარუდგინა ოფიციალური ტექსტი კანონპროექტისა ბაღდადის პაქტთან ირანის შეერთების შესახებ. კანონპროექტი გადაეცემა აგრეთვე მეჯლისის განსახილველად.

როგორც საზღვარგარეთიდან მოსული პირველი ცნობებიდან ჩანს, ინგლისისა და ამერიკის სააგენტოებისა და გაზეთების მიმმხილველები მიესალმებიან ირანის შეერთებას ბაღდადის სამხედრო ბლოკთან, ამასთან ისინი გულახდილად აღნიშნავენ, რომ ირანის ახალი ნაბიჯი ხავსებით შეესაბამება დასავლეთის სახელმწიფოთა გეგმებს ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ის ფაქტი, რომ ირანს აბამენ სამხედრო ბლოკში, ერთხელ კიდევ ცხადყოფს მთელ სიყალბეს ზოგიერთი სახელმწიფოს საქციელში, რომლებიც სიტყვით მოითხოვენ „უნივერსალურ სულისკვეთების“ შენარჩუნებას, ხოლო საქმით აკოწყნენ აგრესიულ სამხედრო ბლოკებს და აბამენ მათში სხვა ქვეყნებს. ამ სახელმწიფოთა მოქმედება ნიშნავს, რომ ისინი განაგრძობენ „ცივი ომის“ თავიანთ პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის არა შენელება, არამედ გამწვავება.

კარგად ცნობილია, რომ უცხოეთის სახელმწიფოები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ექსპლოატაციას უწევდნენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებს თავიანთი მსხვილი მონოპოლიების გამდიდრების მიზნით, ცდილობენ ყოველნაირად შეუშალონ ხელი ამ ქვეყნების თავისუფალ ეროვნულ განვითარებას და კანონიერი უფლებების განხორციელებას. რაკი შესაძლებლობა არა აქვთ შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა ძველი ხერხებით, აღნიშნული სახელმწიფოები იღებენ და იღებენ ღონისძიებებს, რათა ჩაბან ამ რაიონის ქვეყნები მათი მფარველობით შექმნილ ამა თუ იმ დაჯგუფებაში.

მას შემდეგ, რაც 1951 წელს ჩაიფუშა კოლონიურ სახელმწიფოთა ცდები შეექმნათ ეგრეთწოდებული „შუა აღმოსავლეთის სარდლობა“, ამ სახელმწიფოებმა მიიღეს ღონისძიებანი, რათა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები ჩაბან აგრესიულ ბლოკებში შემოვლითი გზით — სათითაოდ ან წყვილ-წყვილად. ასე დაიდო თურქეთ-პაკისტანის პაქტი, ხოლო შემდეგ ბაღდადის პაქტი. ამასთან ერაყის მთავრობა ასრულებდა და ასრულებს შუა აღმოსავლეთში კოლონიზატორთა მსახურის განსაკუთრებით ცუდ როლს.

ულტიმატური მოთხოვნები ბაღდადის პაქტთან შეერთების შესახებ არაერთხელ, თუმცა უშედეგოდ, წაუყენეს სირიას. ზეგავლენა მოახდინეს საუდის არაბეთზეც, რომელიც ილაშქრებს იმ სამხედრო ბლოკებში არაბთა ქვეყნების მონაწილეობის წინააღმდეგ, რომლებსაც მათ დასავლეთის სახელმწიფოები აბევენენ თავს. დიდი ზეგავლენა განიცადა და განიცდის ეგვიპტე, რომლისგანაც მოითხოვენ შეცვალოს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება თურქეთ-ერაყის ბლოკისადმი. ეგვიპტემ უარყო ეს პრეტენზიები როგორც მის ეროვნულ ინტერესებთან შეუთავსებელი.

დასავლეთის სახელმწიფოთა გეგმებში განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებენ ირანს. როგორც ცნობილია, რამდენიმე ხნის წინათ ირანს ეწვია თურქეთის მთავრობის დელეგაცია თურქეთის პრეზიდენტის ბაიარის მეთაურობით. ამ ვიზიტს ოფიციალურად „მეგობრობის ვიზიტი“ უწოდეს. მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ სინამდვილეში ამ ვიზიტის მიზანი იყო ირანის ჩაბმა აგრესიულ ბაღდადის პაქტში.

დამახასიათებელია, რომ ირანიდან ბაიარის დაბრუნების მეორე დღესვე ამერიკის იუნაიტედ პრესის სააგენტომ, დაიმოწმა რა „ამერიკის ავტორიტეტიანი წრეების“ აზრი, გამოაცხადა, რომ ირანი მალე შეუერთდება თურქეთ-პაკისტან-ერაყის პაქტს. ამასთან ამერიკის სააგენტო გულახდილად აღნიშნავდა, რომ ბაღდადის პაქტი მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „ამ პაქტთან ირანის შეერთება,— ნათქვამი იყო ცნობაში, — საბჭოთა კავშირს დააყენებს ანტიკომუნისტურ შეთანხმებათა მთლიანი ჯაჭვის წინაშე“.

ფრანს პრესის სააგენტომ თავის მხრივ განმარტა, რომ ეს ახალი სამხედრო სისტემა „იქნება ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის დამატება და გეოგრაფიულად დააკავშირებს ამ ორგანიზაციას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების თავდაცვის (?) პაქტთან“.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის გაზაფხულზე ინგლისი შეუერთდა თურქეთ-ერაყის სამხედრო კავშირს. დასავლეთის ქვეყნების პრესაში სულ უფრო გარკვევით ლაპარაკობენ ამ სამხედრო ბლოკში შეერთებული შტატების მომავალ შესვლაზე.

„პრავდის“ 13 ოქტომბრის მოწინავე

ამერიკის გავლენიანი გაზეთის „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სიტყვით, „შეერთებული შტატების შესვლა პაქტში უზრუნველყოფდა კავშირისათვის ახალ დინამიზმს (?!), აგრეთვე კვალიფიციურ დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას და საკმაო მიწოდებებს ადგილობრივ მოკავშირეთა არმიებისათვის, რომლებსაც საჭიროველი აკლიათ“.

ეგვიპტის გაზეთ „ალ-აჰრამის“ სტამბოლელი კორესპონდენტი აზუსტებს, რომ „მას შემდეგ, რაც ირანი ოფიციალურად შეუერთდება თურქეთ-ერაყის პაქტს“, ირანის ტერიტორიაზე შეიქმნება ამერიკის სამხედრო ბაზები. აგრეთვე ცნობილია, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში სამხედრო ბლოკების ორგანიზატორები უკვე ახლა გეგმავენ თურქეთის ჯარების მოქმედებას ირანის აზერბაიჯანისა და ქურთისტანის ტერიტორიაზე, ხოლო პაკისტანის ჯარებისას — ირანის პროვინცია ხორასანში. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რა საფრთხეს შეიცავს ირანისათვის ამგვარი გეგმების განხორციელება.

ხავსებით ცხადია, რომ სწორედ ის წრეები, რომლებმაც ირანს დაადგეს ნავთობის კონცესიების უღელი, ახლა ცდილობენ კიდევ უფრო მძიმე მონობაში ჩაიყვანონ ირანი და გადააქციონ იგი პლაცდარმად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებისათვის.

ცდილობენ რა როგორმე გაამართლონ ეს გადაწყვეტილება, რომელსაც შეუძლია უაღრესად მძიმე შედეგები მოუტანოს ირანს, ირანის მმართველი წრეების წარმომადგენლები ეხვრაფვიან ისე წარმოადგინონ საქმე, თითქოს ლაპარაკია ირანის მონაწილეობაზე... რეგიონალურ თავდაცვითს შეთანხმებებში, რომელთა შექმნა ნებადართულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით. მაგრამ რეგიონალურ შეთანხმებებსა და ორგანოებს, გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, არსებობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეესაბამებიან გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს, ესე იგი თუ მათი მიზანია მშვიდობისა და უშიშროების დაცვა. მაგრამ სამხედრო ბლოკები ახლო და შუა აღმოსავლეთში არც რეგიონალურია, არც თავდაცვითი.

მართლაც, რა „რეგიონალურობაზე“ შეიძლება ლაპარაკი, როცა ბაღდადის პაქტში, ახლო და შუა აღმოსავლეთის სამი ქვეყნის გარდა, აშკარად მონაწილეობს ინგლისი, რომელიც, როგორც ცნობილია, ევროპაში მდებარეობს, და ამ პაქტთან შეერთება განზრახული აქვთ შეერთებულ შტატებს, რომლებიც რამდენიმე ათასი კილომეტრით არიან დაშორებული ამ რაიონს? როგორ შეიძლება „თავდაცვითი“ ვუწოდოთ ბაღდადის ბლოკს, თუ იგი უნდა იქნეს „ხიდი“ ევროპის აგრესიულ სამხედრო ბლოკს — ნატო-სა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აგრესიულ სამხედრო ბლოკს — სეატო-ს შორის და როცა ამასთანავე მისი მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ დაუთმონ უცხოელებს თავიანთი ტერიტორია იმ შეტევითი სამხედრო ბაზების შესაქმნელად, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ?

ირანის შაჰმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა 8 ოქტომბერს სენატის მეექვსე სესიის გახსნის გამო, განაცხადა, თითქოს „ირანელი ხალხისა და მთავრობის ნეიტრალიტეტმა და მშვიდობიანმა განზრახვებმა ორ მსოფლიო ომში ვერ იხსნა ირანი აგრესიისა და ძალადობისაგან, ხოლო მისი უფლებები — უპატივცემლობისაგან“. ამგვარი მტკიცება მკვეთრად ეწინააღმდეგება სინამდვილეს.

ირანელი ხალხის მშვიდობისმოყვარეობა უცილობელი ფაქტია და ამ მშვიდობისმოყვარეობას ყოველთვის სრული გაგებით ეკიდებოდნენ და ეკიდებიან და მხარს უჭერენ მშვიდობისმოყვარე ხალხები. მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ ის მოღვაწენი, რომელნიც სათავეში ედგნენ ხელისუფლებას ირანში მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, მაშინ მოქმედებდნენ ირანელი ხალხის მისწრაფებათა წინააღმდეგ. მაგალითად, ყველას ახსოვს, რომ ირანის მაშინდელი შაჰი — რეზა-შაჰი და მისი გარემოცვა ცდილობდნენ, რომ ირანი შეერთებოდა ჰიტლერულ ბლოკს, დაერღვია ყველა ხელშეკრულება და შეთანხმება, რომლებიც მანამდე დადო ირანმა თავისი ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად. ირანი რომ ჰიტლერულ „ღერძს“ შეერთებოდა, — რასაც ხელი შეუშალეს საბჭოთა კავშირმა და ინგლისმა, რომლებმაც თავიანთი ჯარები შეიყვანეს ირანის ტერიტორიაზე ცნობილ შეთანხმებათა შესაბამისად, — იმის წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა უბედურება დაატყდებოდა მას თავს ამ შემთხვევაში!

იმ გარემოებამ, რომ ირანმა მონაწილეობა არ მიიღო ჰიტლერულ სამხედრო დაჯგუფებაში, ხელი შეუწყო ირანს თავიდან აეცილებინა კატასტროფა. ნეიტრალიტეტის პოლიტიკამ პირდაპირ იხსნა ირანი მეორე მსოფლიო ომში. მხედველობაში აქვს რა ის ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა და ინგლისმა განახორციელეს ირანის ნეიტრალიტეტის შეხანარჩუნებლად, ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი სამართლიანად აღნიშნავს თავის მემუარებში მეორე მსოფლიო ომის შესახებ, რომ „ჩვენმა გამარჯვებამ სპარსეთს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა“.

თუ ირანის ნეიტრალური პოზიცია ემსახურებოდა მის ეროვნულ ინტერესებს წარსულში, ასეთი პოზიცია მით უფრო ემსახურება მის ინტერესებს ახლა, როცა ძლიერდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნის მისწრაფება — დაიცვან ნეიტრალური პოზიცია და მონაწილეობა არ მიიღონ აგრესიულ სამხედრო ბლოკებში და ამ ბლოკების შესაძლებელ ავანტიურებში.

საბჭოთა კავშირი მუდამ პატივს სცემდა ირანის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. მრავალი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირსა და ირანს აკავშირებდა მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ ამ ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომლებიც ხელს უწყობდნენ ირანის ნეიტრალიტეტის განმტკიცებას და მის დამოუკიდებლობას.

ირანში არ შეიძლება არ ახსოვდეთ, რომ არსებობს, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის ხელშეკრულება გარანტიისა და ნეიტრალიტეტის შესახებ. ამ ხელშეკრულების მესამე მუხლში პირდაპირ ნათქვამია: „ხელშეკრულების დამდები თვითეული მხარე კისრულობს ვალდებულებას მონაწილეობა არ მიიღოს არც ფაქტიურად, არც ფორმალურად პოლიტიკურ კავშირებსა თუ შეთანხმებებში, რომლებიც მიმართულია ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის უშიშროების წინააღმდეგ ხმელეთზე თუ ზღვაში, აგრეთვე მისი მთლიანობის, მისი დამოუკიდებლობის ან მისი სუვერენიტეტის წინააღმდეგ...“

როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირ-ირანის მეგობრულმა ურთიერთობამ შემდგომი განვითარება ჰპოვა იმით, რომ დაიდო საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმება სასაზღვრო და საფინანსო საკითხების მოწესრიგების შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში მოწვეულ იქნა ირანის შაჰი და ირანის პარლამენტის დელეგაცია, რომ განვითარდა ეკონომიური და კულტურული ურთიერთკავშირი ამ ორ ქვეყანას შორის. ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის პირდაპირი ინიციატივით ხორციელდებოდა.

საბჭოთა საზოგადოებრიობა მით უმეტეს ვერ აუვლის გვერდს იმას, რომ მზადდება ირანის ჩაბმა სამხედრო ბლოკში, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ირანის ასეთი ნაბიჯი არღვევს საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებას გარანტიისა და ნეიტრალიტეტის შესახებ. ეს ნაბიჯი არ შეესაბამება ირანის მთავრობის საერთაშორისო ვალდებულებებს.

თეერანიდან მიღებული ცნობები ცხადყოფენ, რომ გარკვეული წრეები, რომელნიც ცდილობენ ირანის ჩაბმას აგრესიულ ბლოკში, ცინიკურად ვარაუდობენ, რომ საბჭოთა კავშირი, რომელმაც მეელი რიგი კონკრეტული მშვიდობისმოყვარული მოქმედებით ცხადყო თავისი ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი, შეურიგდება საერთაშორისო ვალდებულებათა ამ დარღვევას. ირანის რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწენი ხედავენ, რომ ამგვარი ვარაუდები ქვიშაზეა აგებული, რადგან საბჭოთა კავშირს არ შეუძლია ხათანადო დასკვნები არ გამოიტანოს შექმნილი მდგომარეობიდან.

ამავე დროს ირანის პატრიოტულად განწყობილი წრეები ბაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ ქვეყნის ჩაბმა აგრესიულ ბლოკში, რომელსაც მეთაურობენ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, მოასწავებს გამანადგურებელ ლაშვარს ირანის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ, მოასწავებს იმას, რომ ირანს დაიკაბალებენ ის უცხო სახელმწიფოები, რომლებიც მრავალი ათეული წლის მანძილზე მტაცებლურად ძარცვავდნენ მის ეროვნულ სიმდიდრეს, ულმობელ ექსპლოატაციას უწევდნენ მშვიდობისმოყვარე და შრომისმოყვარე ირანელ ხალხს.

ირანის ხაზოგადოებრიობის სულ სხვადასხვა წრეებში მთელი სერიოზულობით აღნიშნავდნენ და აღნიშნავენ ამ საფრთხეს. როგორც ამას წინათ აღნიშნა მეჯლისის დეპუტატმა კანატაბადიმ, სამხედრო პაქტებში მონაწილეობა „არავითარ შემთხვევაში არ იქნება ჩვენთვის სასარგებლო. ირანი ნეიტრალური უნდა იქნეს და აბორიგენელებდეს დამოუკიდებელ ეროვნულ პოლიტიკას“. დეპუტატმა ქაშანიმ თავის მხრივ განაცხადა: „არ შეიძლება უარვყოთ ის ფაქტი, რომ ჩვენ (ე. ი. ირანი) სუსტი ქვეყანა ვართ, ხოლო თუ სუსტი ქვეყანა სამხედრო ბლოკში შევა, ამით იგი ვერავითარ სარგებლობას ვერ მიიღებს. მას დააკისრებენ ბინძურ სამუშაოს, იგი იძულებული იქნება გაიღოს მსხვერპლი“.

ბაღდადის სამხედრო პაქტს რომ უერთდება, ირანი მოლიპულ გზაზე დგება.

ეს ცალმხრივი პოზიცია, რომელიც სასურველია უცხოეთის გარკვეული წრეებისათვის, მაგრამ რომელიც ეწინააღმდეგება ირანელი ხალხის ინტერესებს და მშვიდობის ინტერესებს, კარგს არაფერს უქადის ირანს.

ჩვენს დიად სამშობლოში



მოსკოვის ოლქი. ნოგინსკის რაიონში მთავრდება ქვესადგურის მშენებლობა, რომელმაც უნდა მიიღოს კუბიშევის მიდროელექტროსადგურის ელექტროენერგია. თავდაპირველი ძაბვა 400.000 ვოლტი აქ შემცირდება 220.000 და 110.000 ვოლტამდე. ქვესადგური აღჭურვილია საბჭოთა მოწყობილობით. **სურათზე:** ბრიგადირი ნ. ფ. გრიშჩენკო (ზემოთ) და ზენიკალი-მექანიკოსი ვ. ვ. კორჩუკოვი აწყობენ საბაერო ამომრთველებს.

ფოტო ნ. კულეშოვისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

★

ხაჩატურ აბოვიანის დაბადების 150 წლისთავი

საზეიმო სხდომა მოსკოვში

11 ოქტომბერს საბჭოთა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ხაჩატურ აბოვიანის დაბადების 150 წლისთავი. გამოჩენილ სომეხ პოეტს მიეძღვნა საზეიმო სხდომა მოსკოვში კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ვ. სმირნოვმა შესავალ სიტყვაში დიდი შეფასება მისცა დემოკრატი მწერლის ლიტერატურულ და საგანმანათლებლო მოღვაწეობას.

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ხ. მომჯიანმა გააკეთა მოხსენება „ხაჩატურ აბოვიანის ცხოვრება და შემოქმედება“. მან ილაპარაკა პოეტზე როგორც ისეთ ადამიანზე, რომლის სახელი განუყოფელად დაკავშირებულია სომეხი ხალხის ისტორიულ ბედთან. მწერლის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია მისი პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული.

აბოვიანმა, აჩაბს მომხსენებელი, თავის თანამედროვეებს და სომეხთა მომავალ თაობებს დაუტოვა ანდერძი მუდამ იყვნენ რუს ხალხთან ერთად. ევროპული და განსაკუთრებით რუსული კულტურის მიღწევებზე დაყრდნობით აბოვიანი გამოვიდა სომეხთის ახალი დემოკრატიული ლიტერატურის წამომწყებად. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები — ეპოპეა „სომხეთის ჭრილობები“ — გამსჭვალული შეურიგებელი მტრობით ყველა სახის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისადმი, ღრმა სიყვარულით მშობლიური ხალხისადმი.

მომხსენებელმა დასასრულ თქვა, რომ აბოვიანის სახელი შორს გასცდა სომხეთის ფარგლებს, ხოლო მისი ქმნილებანი ყველა საბჭოთა ხალხის სულიერი მემკვიდრეობა გახდა.

მოხსენების შემდეგ პოეტებმა გ. ბორიანმა, ე. ნიკოლაევსკაიამ, ო. შირაზმა, გ. ემინმა წაიკითხეს აბოვიანისადმი მიძღვნილი ლექსები.

საღამოს მხატვრულ ნაწილში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვისა და სომხეთის მსახიობებმა.

(საკდესი).

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სესია

სოჩი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური მედიცინისა და მედიცინა-ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული სესია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ კურორტთა მთავარი სამმართველოს მუშაკები და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები. სესია მიძღვნილია კურორტებზე გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მკურნალობის საკითხებისადმი.

ახალი მოჯოციკლეჯი „მ-52“

ირბიტი (სვერდლოვსკის ოლქი). (საკდესი). ირბიტის მოტოციკლეტის ქარხანამ გამოუშვა „მ-52“ მარკის ახალი მანქანა, რომლის ცილინდრის მოცულობა 500 კუბური სანტიმეტრია. საქარხნო გამოცდამ ცხადყო მანქანის კარგი ხარისხი. ეს კილომეტრზე მანქანა ხარჯავს მხოლოდ 5-6 ლიტრ ბენზინს — ერთნახევარჯერ ნაკლებს, ვიდრე ხარჯავს მოტოციკლეტი „მ-72“. ეტლითა და სრული დატვირთვით ახალი მანქანა ავითარებს 90 კილომეტრ სიჩქარეს საათში.

ომსკის ნავსადგურში მივიდა ახალი სამგზავრო თბომავალი „ლენინური კომკავშირი“. მას გავლილი აქვს 5.000 კილომეტრი მდინარეებით, ტბებით, თეთრი ზღვის არხით და ბალტიის, თეთრი, ბარენცისა და კარის ზღვებით. თბომავალი აგებულია საბჭოთა კონსტრუქტორების ნახაზების მიხედვით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალაქ ვარნემიუნდეს გემსაშენში. იგი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. **სურათზე:** თბომავალი „ლენინური კომკავშირი“ ომსკის ნავსადგურში.

ფოტო ვ. ლიპოვსკისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ქვანახშირის ძიება უკრაინაში

სტალინო. (საკდესი). მრავალი წლის განმავლობაში ქვანახშირის ერთადერთი რაიონი უკრაინაში დონბასი იყო. ახლა სათბობს ენერგეტიკისა და შავი მეტალურგიის საჭიროებისათვის იღებენ რესპუბლიკის ბევრ ოლქში.

უკრაინის გამოკვლეული ქვანახშირიანი ფართობები უკანასკნელ ხანს დაახლოებით ერთიოროად გაფართოვდა. მოკლე ვადაში გამოკვლეულია ეგრეთწოდებული დნეპრის ქვანახშირის აუზის უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც მოიცავს კიევის, ჩერნიგოვის, კიროვოგრადის, დნეპროპეტროვსკისა და სხვა ოლქებს. აქ აღმოჩენილ 20 მეტრამდე სიმძლავრის მუარა ქვანახშირის ფენებზე აშენებულია პირველი დიდი ჭრილები. ქვანახშირი აღმოჩენილია ხარკოვის ოლქის და იმიერკარპატის რაიონში და სხვა ადგილებში.

ახლა უკრაინაში მუშაობს უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს 24 დიდი გეოლოგიური პარტია. ეს პარტიები იძიებენ ქვანახშირიან ფართობებს, რათა ახალი შახტები აშენდეს მეექვსე ხუთწლედში.

ამავე დროს გრძელდება ქვანახშირის ძიება დიდ სიღრმეზე. ქალაქ მაკეევკაში უხუცესი ოსტატის გ. უ. დრაგუნის ხელმძღვანელობით ახალი კონსტრუქციის საბჭოთა ჩარხით გაბურღულია ჭაბურღილი 1.551 მეტრ სიღრმეზე. აღმოჩენილია ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ღრმა ქვანახშირის ჰორიზონტი. ახლა აქ მიმდინარეობს დიდი გეოფიზიკური კვლევა, რაც ამოსავალ მონაცემებს მოგვცემს დონეცის აუზის ახალი ზღრმა შახტების დაპროექტებისათვის.

პარტიის XX ყრილოგის აღსანიშნავად

★ ★

მოწინავე დეპო

თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივი დიდი შრომითი აღმავლობით იბრძვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის იგლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და პარტიის XX ყრილობისათვის სასახელო მაჩვენებლებით შესახვედრად.

საწარმოო გეგმების გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის თბილისელი მელმავლეები მიმდინარე წლის მეორე კვარტალიდან ინარჩუნებენ მოწინავე საწარმოს სახელს და საბჭოთა კავშირის რკინიგზის ქსელში მოპოვებული აქვთ პროფკავშირების ცენტრალური საბჭოსა და გზათა სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

სექტემბერში დეპოს მემანქანეებმა გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 92.910 ტონა ტვირთი, საშუალო სადღეღამისო გარბენის დავალებას გადაამეტეს 8 კილომეტრით, ელმავლის გარბენის ტექნიკური სიჩქარე გაზარდეს 1,5 კილომეტრით.

მძიმეწონიანი მატარებლების წაყვანაში დაწინაურდა მემანქანე გენადი ბოგვერაძე, მან გასულ თვეში 12 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა და 3.246 ტონა ტვირთი გადაიტანა გეგმის გადამეტებით. მძიმეწონოსნებმა ოთარ ლაკლიკაძემ და პავლე არევაძემ 18 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს. ასეთი მაგალითი აქ ბევრია. სექტემბრის დავალება წარმატებით შეასრულეს აგრეთვე შემკეთებლებმა.

ზეინკლები ილია ნანეტაშვილი, გიორგი ლაბაძე და მიხეილ ჯანეზაშვილი დღეში 2-2,5 ნორმას იძლევიან და ყველა დავალებას მაღალხარისხოვნად ასრულებენ. ხარატმა კარლო გვენცაძემ გასულ თვეში სამი ნორმა გამოიმუშავა.

მეჯეხელ მეაგურეთა ახალი წარმატება

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა მეტეხის მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის კოლექტივმა. მან პროდუქციის გამოშვების მესამე კვარტალის გეგმა 121,1 პროცენტით შეასრულა. 9 თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 2.149 ათასი ცალი პირველი ხარისხის აგური.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა საყალიბო საამქრო, რომელმაც მესამე კვარტალის დავალება 128.9 პროცენტით გაანაღდა, ცვლები, რომლებსაც ვ. ტუაშვილი და მ. ჯალატოზიშვილი ხელმძღვანელობენ, ყოველთვიურ დავალებას 120-125 პროცენტით ასრულებენ. (საქდესი).

საავჭრო ნავსადგურმა ხუთწლიანი გეგმა შეასრულა

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის საავჭრო ნავსადგურმა, რომელიც ქალაქის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებიდან ერთ-ერთი პირველი ჩაება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 23 სექტემბრისათვის შეასრულა მეხუთე ხუთწლედის დავალება.

1950 წელთან შედარებით მენავსადგურეებმა ორნახევარჯერ გაადიდეს ტვირთბრუნვა. ეს შესაძლებელი გახდა ნავსადგურის მოწინავე ტექნიკით აღჭურვისა და გემების ჩქაროსნული დამუშავების მეთოდების თართოდ დანერგვით. საწარმოო უბნებზე ახლა მძლავრი ელექტროამწეები, ელევატორები და სხვა მექანიზმები მუშაობენ.

მტვირთავები, მექანიზატორები მიმდინარე წლის დავალების ვადამდე განაღდებისათვის იბრძვიან და კიდევაც მოიპოვეს პირველი წარმატებები — 9 თვის გეგმა სექტემბრის პირველ რიცხვებში შეასრულეს. მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და ორი მანეთით შემცირდა ტონა ტვირთის გადაზიდვის თვითღირებულება.

ნავსადგურის კოლექტივმა გადაწყვიტა წლის ბოლომდე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით კიდევ 50 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშაოს.

შავი ზღვის ფლოტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი

სევასტოპოლი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს მატროსთა კლუბში გაიმართა შავი ზღვის ფლოტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი ქალაქის მშრომელებისა და მეზღვაურებისათვის.

მრავალი მაყურებელი გულთბილად შეხვდა ანსამბლის გამოსვლას, რომელმაც შეასრულა ალექსანდროვის „კანტატა პარტიაზე“, „სიუიტა 1905 წლის რევოლუციური სიმღერებიდან“, მურადელის სიმღერა „ლეგენდარული სევასტოპოლი“, რუსული, უკრაინული, მატროსული სიმღერები და ცეკვები.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. კირიჩენკო, ა. ი. მიკოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის მდივანი დ. ს. პოლიანსკი და სხვები.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ახალ ხუთწლედში

★

მასების შემოქმედებითი ინიციატივის სათავეში

ჩვენ — მემარტენეებმა, როგორც პროექტით არის ნავარაუდევი, ახალ ხუთწლედში ფოლადის გამოშვება ერთიორად და უფრო მეტად უნდა გავზარდოთ. ამ სერიოზული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის უკვე დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა შემუშავებაში ავანგარდულ როლს კომუნისტები ასრულებენ.

სამექსერო ამწის მემანქანე კომუნისტი მ. ახვლედიანი და უფროსი ოსტატი კომკავშირელი ო. ტაბუაშვილი მოითხოვენ მიქსერზე გაიმართოს თხევადი თუჯიდან წიდის მოსახდელი მანქანა, რათა ამ ღონისძიებით თუჯში შემცირდეს გოგირდის სიჭარბე — ჩქაროსნულ ნადნობთა მიღების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზი.

კომუნისტი ინჟინერი კ. ლეჟავა წინადადებას იძლევა ფოლადსასხმელი ბოყვის ოთხკუთხოვანი ფორმის თავსადგამები შეიცვალოს ახალი კონსტრუქციის მრგვალი თავსადგამებით. ეს მეფოლადეებს დაუზოგავს დიდძალ ცეცხლგამძლე აგურს.

ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტით გათვალისწინებულია მარტენის ყველა ღუმელს გაუკეთდეს ქრომმაგნეზიტიანი თაღი. ამით 2-3-ჯერ გადიდდება ღუმელების გამძლეობა, დაჩქარდება შემჭიდროებულ ნადნობთა ძიღება და 8 პროცენტით გაიზრდება ფოლადის გამოშვება. უნდა ავითვისოთ აგრეთვე ჟანგბადის გამოყენებით ფოლადის გამოდნობის პროგრესული ტექნოლოგია, რაც საამქროს წარმადობას 12-15 პროცენტით გაადიდებს.

საამქროს კოლექტივს მაღალნაყოფიერი შრომით აღფრთოვანებენ კომუნისტი მეფოლადეები შ. შუბითიძე, ი. მეტრეველი, ვ. ჭაბაშვილი, თ. ბარბაქაძე და სხვები, რომლებიც დნობათა 70 პროცენტს ჩქაროსნული მეთოდით ახორციელებენ და ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

საამქროს პარტიული ორგანიზაცია აგიტატორთა საშუალებით მეფოლადეებს ფართოდ აცნობს ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტსა და შემოსულ წინადადებებს. ამოცანა ის არის, რომ პარტიულ-პოლიტიკური, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებით უნარიანად წარვმართოთ მეტალურგთა შემოქმედებითი აქტივობა მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისაკენ.

ლ. ხარგედია,
მარტენის საამქროს პარტბიუროს მდივანი.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილნამზადის საამქროს უფროსი ოსტატი ვ. კირვალიძე (მარჯვნივ) ესაუბრება საბჭოთა კავშირის საუკეთესო ოპერატორს კ. კოკაიას.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ალმაევლობის გზაზე

ომისშემდგომი ხუთწლედების პირველი — ასე უწოდებენ ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავსა და სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას. და მართლაც, ძველი ნაქალაქარის უკაცრიელ ველზე პირველად 1950 წლისათვის აქ ქარხნის დამხმარე საწარმოებთან ერთად მწყობრში ჩადგა ფოლადსადნობი და ბლუმინგის მძლავრი საამქროები.

მეხუთე ხუთწლედში ტრამალმა კიდევ უფრო მეტი ასპარეზი დაუთმო მშენებლებსა და მემონტაჟეებს. გაფართოვდა მარტენის საამქრო, ამუშავდა მილნამზადის, მილსაგლინავი, საბრძმედე, წვრილსორტული, კოქსქიმიური საამქროები, საგლომერაციო ფაბრიკა და 1955 წელს მეტალურგიული ქარხანა უკვე სრული ციკლით მოუშავე საწარმო გახდა.

რუსთავის მეტალურგები ყოველწლიურად ზრდიან პროდუქციის გამოშვებას.

მეექვსე ხუთწლედის გეგმის პროექტი მეტალურგებს წინსვლისა და ზრდის კიდევ უფრო გრანდიოზულ პერსპექტივებს უსახავს. ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია ქარხნის მოქმედ საამქროებს შეემატოს ფურცლოვანი ფოლადის საგლინავი, ცეცხლგამძლე მასალების დამამზადებელი, ვიწროდიამეტრიანი უნაწიბურო მილების საგლინავი საამქროები, ჟანგბადის მძლავრი სადგური, კირისა და დოლომიტის საამქროს ახალი განყოფილება. წარმადობის გადიდებისა და პროდუქციის სორტამენტის შემდგომი გაფართოების მიზნით რეკონსტრუირებულ იქნება მარტენის, ბლუმინგის, მილნამზადის, წვრილსორტულ და მილსაგლინავ საამქროთა ცალკეული უბნები.

მე-6 ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემდგომი სრულყოფის მიზნით მეტალურგიული ქარხნის ყველა უბნიდან დაიძრა ძვირფას წინადადებათა ნაკადი, რომლის ავტორები არიან რიგითი მუშები, ბრიგადირები, ოსტატები, ინჟინერ-ტექნიკოსები, კონსტრუქტორები. მარტენის საამქროს უფროსი ოსტატი ვ. გიგიბერია წინადადებას იძლევა ღუმელების რემონტის დროს ქვიცხლგამძლე მასალების საჭირო ადგილზე მექანიზებული მიზიდვისათვის საამქროში მოეწყოს მარტივი კონსტრუქციის ლიფტი და ტრანსპორტიორები, რაც, მისი ვარაუდით, 5 პროცენტით შეამცირებს ღუმელების რემონტის ვადას და მეფოლადეებს საშუალებას მისცემს თვეში 250-300 ტონით გაზარდონ ფოლადის გამოშვება.

ამავე საამქროს საკაზმე ეზოს ბრიგადირის რ. წიკლაურის წინადადებაა საურნალო საამქროში დაიდგას წნეხი ლითონის ნათალის დასაწნეხად. ეს ღონისძიება დაახლოებით ერთი საათით შეამცირებს ღუმელში ჯართის ჩატვირთვისათვის განკუთვნილ დროს და თვითეულ დნობაზე დამატებით 7-8 ტონა ფოლადს მოგვცემს. ინჟინერი ი. ფინკელშტეინი მეფოლადეებს ურჩევს ღუმელში გამოიყენონ ორმაგი მოქმედების მფრქვეველი, რაც ხელს შეუწყობს მაზუთის წვას მხოლოდ ლითონის აბაზანის ზედაპირზე. ამით დაზიანებას გადარჩება ღუმელის გვერდითი კედლები, რეგენერატორი და რამდენადმე გახანგრძლივდება ღუმელთა გამძლეობა.

ეს წინადადებანი, წარმოების ნოვატორთა ყოველი ძვირფასი ჩანაფიქრი, როგორც შენაკადები მდინარეს, ისე ავსებს და ამდიდრებს მე-6 ხუთწლიანი გეგმის პროექტს.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

გამოუყენებელი რეზერვები

საბრძმედე საამქრო წელს სახელმწიფო გეგმებს ზედიზედ ვერ ასრულებს. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია შრომის მოუწესრიგებლობა, დაბალი ტექნოლოგიური დისციპლინა.

ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტის მიხედვით 1960 წლისათვის საამქროში თუჯის წარმოების ზრდამ 153,8 პროცენტს უნდა მიაღწიოს და ღუმელების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი 0,96-ის ნაცვლად 0,73-ს გაუთანაბრდეს. ამ ამოცანის შესრულებისათვის საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები. გამოუყენებელი რეზერვები კი ბევრია.

განზრახულია ორივე ბრძმედი გადავიყვანოთ საყრძის ქვეშ მაღალ ზნეკზე და მარტო ამით ბრძმედების წარმადობა 8 პროცენტით გაზარდოთ. მებრძმედეები წინადადებას იძლევიან აგრეთვე ნედლი მასალები ღუმელში უფრო მოფენილებული თანმიმდევრობით ჩაიტვირთოს, დაბერვის ტემპერატურა ტენიანობის შეუცვლელად ამჟამად არსებული 750-800-დან 850-მდე ამაღლდეს. მარტო ამ ღონისძიებით ყოველდღიურად 450-500 ტონით მეტ თუჯს გამოადნობთ და კოქსის 4-5 პროცენტს დაზოგავთ.

შრომის ორგანიზაციისა და მებრძმედეთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით გადაწყვეტეთ მოვაწყოთ საწყიდე ცეცხლიდან წიდის მექანიზებული მოცილება, ბრძმედის ხვრელს გახსნა, წიდის გადასაღვრელი უბნის მუშაობა. ამასთან ჩვეულებრივ აგლომერატს ფლიუსნარევი აგლომერატით შეავსებთ და სისტემატურად გავიდიდებთ მის ზვედრით წონას კაზმში. ეს საბრძმედე საამქროს წარმადობას 3 პროცენტით გაადიდებს და შესამჩნევად გაუმჯობესებს თუჯის ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს.

მ. ბოჟრდაშვილი,
საბრძმედე საამქროს ღუმელების ოსტატი.

★

შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის

წელს ჩვენი საამქროს კოლექტივი რუსთავის მეტალურგთა სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგას და საწარმოო გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. ცხრა თვის დავალება 4 დღით ადრე შეესრულეთ. მარტო ოქტომბრის პირველ დეკადაში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 1.000 ტონაზე მეტი ნაგლინი.

მგლინავებმა — უფროსმა ოპერატორმა კ. კოკაიამ და უფროსმა მვალცავმა ი. მაისურაძემ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და საბჭოთა კავშირის საუკეთესო მგლინავის საპატიო წოდება მოიპოვეს. ამას წინათ საკავშირო პროფსაბჭომ მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით ჩვენი საამქრო საუკეთესოდ მომუშავე მეტალურგიულ საწარმოთა რიგში მოიხსენია.

ჩვენს ქარხანაში მილნამზადის საამქრომ პირველმა გადააჭარბა საპროექტო სიმძლავრეს, მაგრამ ამ მხრივ მიღწეული დონე სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ახალი ხუთწლედის ბოლოსათვის საამქროს საპროექტო სიმძლავრე კიდევ 50 პროცენტით უნდა გავადიდოთ, რაც ძირითადად ტექნიკური პროგრესის ბაზაზე უნდა განხორციელდეს. მე-6 ხუთწლედის პროექტით გათვალისწინებულია დგან „750“-ის რეკონსტრუქცია. ეს მოსახერხებელს გახდის ეგრეთწოდებულ რევერსიულ გლინვას, დაჩქარებს გლინვის პროცესს და გაფართოებს პროდუქციის სორტამენტს. დგან „900“-ზე დავნერგავთ ტექნოლოგიურ ავტომატიკას და ამით მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ საგლინავი აგრეგატის მომსახურებას. პრაქტიკაში შემოვიღებთ ცხელი ნაგლინის ავტოგენით ჭრას, ბლუმინგის პირველ მალში დავამონტაჟებთ როლგანგებიან მეორე ჩამტვირთავ მოწყობილობას, რაც საგლინავ დანადგართა მოცდენას სულ მცირე 2 პროცენტით შეამცირებს. შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გადავწყვიტეთ აგრეთვე ავამუშაოთ გადანაცვლებადი ელექტროხერხი, დავდგათ მილნამზადის გამასწორებელი ორი აგრეგატი...

საწარმოს ყველა უბანზე ტექნიკურ სიახლეთა გაბედულად დანერგვა — აი საუკეთესო პირობა ახალი ხუთწლიანი გეგმის სასახელოდ შესრულებისათვის.

გ. ჟურდიანი,
მილნამზადის საამქროს უფროსი.

მეტალურგთა წინადადებანი

მებრძმედე მ. კიკვიძე

— თუჯის გამოსაშვები ღარებისათვის საამქროში ვიყენებთ ფხვიერი კოქსის, თიხის, შამოტისა და ფისის ნაზავს, რომელიც 3-4 დღეზე მეტს ვერა ძლებს და ღარებში ნაზავი ბზირ შეცვლას საჭიროებს. თუ ამავე შემადგენლობის ნაზავში დაახლოებით 3-ჯერ გავადიდებთ ფხვიერი კოქსის რაოდენობას, ხოლო რამდენადმე შევამცირებთ თიხისა და შამოტის დოზას, მივიღებთ ისეთ ნაზავს, რომლის გამძლეობა 5-ჯერ მეტი იქნება. ეს მნიშვნელოვნად გაადიდებს მებრძმედეთა შრომას, ამასთან ღარის გასაყოფი მასალების დიდ ეკონომიას მოგვცემს.

• • •

მეფოლადე ი. სამცოვი

— მემარტენეებისათვის ბევრად ხელსაყრელი იქნება, თუ ღუმელების, ცეცხლგამძლე ბოყვების ცენტრალური სასხმისების, ფოლადგადმოსაშვები ღარის გამოსაშრობად სალუმელე განყოფილებაში, სამსხმელო და ბოყვების ეზოში გავიყვანთ კოქსის აირს. ამით რამდენადმე შემჭიდროვდება გამოშრობის დრო, გაუმჯობესდება შრომის ხარისხი და დაიზოგება დიდძალი მაზუთი.

ერთი რაიონის ავკარგი

შუახევის რაიონი ყველაზე ახალგაზრდა რაიონია ჩვენს რესპუბლიკაში. იგი შეიქმნა 1952 წლის დასასრულს აჭარის ასსრ ხულოს რაიონის გაყოფის შედეგად.

ამ მოკლე დროის განმავლობაში რაიონის ცენტრის კეთილმოწყობად გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული. კერძოდ, აშენდა სასტუმრო, რაიონის სამრეწველო კომბინატმა ააგო ორი კაპიტალური შენობა, ერთი მათგანი მუშათა საცხოვრებელი სახლია, ხოლო მეორეში მოთავსებულია კომბინატის დირექცია და საამქროები. აშენდა რაიონული საავადმყოფო სამკურნალო კაბინეტებით.

რაიონის ცენტრში სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის აშენდა საცხოვრებელი სახლი. წელს ახლადაგებულ კაპიტალურ შენობაში გაიხსნა სასადილო. მშენებლობის პროცესშია პურის საცხობი, რაიონული მაღაზია. მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის ძეგლის აგება, იგი 7 ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს. საგრძნობი მუშაობაა გაწეული რაიონული ცენტრის გასამწვანებლად.

მიუხედავად ამისა, ახლად შექმნილი რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა სერიოზულად ჩამორჩება, ვერ აკმაყოფილებს მუშა-მოსამსახურეთა და ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

რაიონის ცენტრს დღემდე არა აქვს სასმელი წყალი. ეს იმ დროს, როდესაც ამ ღონისძიებაზე დიდი თანხები დახარჯა. ყურადღება არ ექცევა საცხოვრებელი ბინების რემონტს, რაც მცხოვრებთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ისინი ხშირად მიმართავენ დახმარებისათვის კომუნალური განყოფილების გამგეს ა. მაკარაძეს, მაგრამ იგი მშრომელთა მოთხოვნილებას ყურადღებას არ აქცევს.

ამანო მხოლოდ კვირაობით მუშაობს. ამის გამო მცხოვრებთა დიდი ნაწილი მოკლებულია აბანოთი სარგებლობის საშუალებას, ხოლო თვით ამანო ვერ ასრულებს საფინანსო გეგმას.

შუახევის რაიონის ცენტრში მეტწილად ქალაქიდან და სოფლებიდან ჩამოსული კადრები მუშაობენ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სასადილოების გამართულ მუშაობას. სამწუხაროდ, სასადილოები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნას. კერძები დაბალი ხარისხისა და ერთფეროვანია, ამასთან ყურადღება არ ექცევა სანიტარული წესების დაცვას. აღსანიშნავია ისიც, რომ სასადილოებს თითქმის არასოდეს არა აქვთ მინერალური წყლები, ლუდი და ლიმონათი, მაშინ როდესაც აჭარკოოპკავშირის საწყობებში ათასობით ბოთლი მინერალური წყალია ჩაწოლილი. იმის გამო, რომ სასადილოები წყლის ნაკლებობას განიცდიან, ჭურჭელი ცუდად ირეცხება, ისიც მხოლოდ ცივი წყლით.

უხეიროდ მუშაობს შუახევის რაიონის სოფლის კოოპერატივიც (გამგეობის თავმჯდომარე მ. ფუტკარაძე). ფართო მოხმარების საქონელი, როგორიც არის შაქარი, ფქვილი, ხურძუნი, მაკარონი, ვერმიშელი და სხვ. მეტწილად პირდაპირ საწყობებიდან გადის. ივნისში სოკოლოვისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩამბარებელთათვის განკუთვნილი მინების ნაწილი საწყობიდან გაიყიდა. მილიციის რაიონული განყოფილების მუშაკმა არველაძემ საწყობიდან 25,5 კვადრატული მეტრი მინა გაიტანა და სამტრედიის რაიონში გაგზავნა. კოოპერაციის მომმართველმა შ. ქათამაძემ 25 ყუთი მინის ნაცვლად შუახევში 19 ყუთი გაგზავნა, დანარჩენს კი ბათუმში უყო რეალიზაცია. ეს იმ დროს ხდება, როდესაც სოფლების — ფურტოის, წაბლანას, შუბნის, ნიგაზეულის რვაწლიან, ჭვანის საშუალო და სხვა სკოლების ფანჯრები სანახევროდ მინაჩაუსმელია.

აღშფოთებას იწვევს აჭარკოოპკავშირის ზოგიერთი მუშაკის საქციელიც. მაგალითად, 17 სექტემბერს აჭარკოოპკავშირის ცენტრალურ ბაზაში მიიღეს მაცივრები. განაწილებისას შუახევის რაიონს მხოლოდ ერთი მაცივარი არგეს და ისიც აჭარკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის გ. მელიას განკარგულებით ქალაქში დატოვეს. ანალოგიური მდგომარეობაა რადიომიმღებების, შალეულის, შეკერილი ტანსაცმლისა და სხვა სამრეწველო საქონლის მიღება-განაწილების დროს.

შუახევის რაიონული ცენტრის კეთილმოწყობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, სავაჭრო ქსელში მტკიცი წესრიგი უნდა დამყარდეს.

დ. კოგალაძე,
დ. პაიჭაძე.

მეტალურგთა წინადადებანი

მგლინავი ი. მეტრეველი

— საჭიროდ მიმაჩნია ბლუმინგის საამქროში მთავარი ამძრავის ბრუნვათა რიცხვი წუთში 70-დან 100-მდე გადიდდეს. ეს ღონისძიება ძირითადი საგლინავი დგანის წარმადობას სულ მცირე 15-20 პროცენტით გაზრდის.

• • •

კოქსქიმიური საამქროს ინჟინერი შ. დადუნაშვილი

— შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით კარგი იქნება ჩვენი საამქროს კაზმის მოსამზადებელ უბანზე ტრანსპორტიორების წერტილებში დაიდგას ელექტროვიბრატორები.

• • •

ელექტროკოსი ვ. ტოკარგოშვილი

— ბლუმინგის საამქროში სრული შესაძლებლობაა ნახევრად ავტომატურად ვმართოთ ეგრეთწოდებული სხმულსატარებელი მანქანა, რაც შესამჩნევად შეამსუბუქებს ოპერატორის შრომას.

ჩვენი მომავალი ამოცანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ამომწურავი სიცხადით დაგვისახა მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების გზები. მე-6 ხუთწლიანი გეგმის პროექტში კი, რომელიც მასების ფართო მონაწილეობითა და საქმიან წინადადებათა შედეგად იმადება, გათვალისწინებული იქნება ის კონკრეტული მიზნები, რასაც საბჭოთა ადამიანებმა მაღალნაყოფიერი შემოქმედებითი შრომის შედეგად უნდა მიაღწიონ ივლისის პლენუმის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

რუსთავის მეტალურგებს ესმით, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტის შედგენისას საჭიროა ღონისძიებათა ისეთი კომპლექსის განხორციელება, რომლის მთავარი მიზანი იქნება ახალი ტექნიკისა და საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვა წარმოებაში, გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინება, ლითონის წარმოების შემდგომი გადიდება, ნაგლინის ახალი, ეკონომიური პროფილების შექმნა და საწარმოს მთლიან რენტაბელობაზე გადაყვანა.

გათვალისწინებულია, რომ ახალი ხუთწლედის ბოლოსათვის პროდუქციის გამოშვება გავზარდოთ — ფოლადისა 209 პროცენტით, თუჯისა — 153,8 პროცენტით, ნაგლინისა — 155,5 პროცენტით, მილებისა — 157,2 პროცენტით, კოქსისა — 125,7 პროცენტით, აგლომერატისა — 224,9 პროცენტით. პროდუქციის ზრდასთან ერთად ბევრად გაუმჯობესდება საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. 5 წლის მანძილზე ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი 24 პროცენტით უნდა გადიდდეს. მარტენის ღუმელების თვითეული კვადრატული მეტრი ქვედიდან ფოლადის გამოსავლიანობას 29 პროცენტით გავადიდებთ, ღუმელების მოცდენას 8 პროცენტით შევამცირებთ. საგრძნობლად გაიზრდება აგრეთვე საგლინავ საამქროთა დგანების საათობრივი წარმადობა. მარტო მილსაგლინავი საამქროს დგან „400“-ის საათობრივი წარმადობის ზრდა 107 პროცენტს გაუთანაბრდება.

ახალი ხუთწლედი იქნება შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის ხუთწლედი. 1960 წლისათვის შრომის ნაყოფიერება გაიზრდება: მარტენის საამქროში 185 პროცენტით, საბრძმედე საამქროში — 174,5 პროცენტით, ბლუმინგში — 139,5 პროცენტით, მილნამზადის საამქროში 134 პროცენტით, წვრილსორტულ საამქროში — 146,8 პროცენტით, მილსაგლინავ საამქროში — 158,8 პროცენტით.

კოქსქიმიური საამქროს მუშა-მოსამსახურეთა მიერ ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტისათვის დასახული ღონისძიებანი უმთავრესად შრომის პირობებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული. ამ მიზნით საამქროს კოლექტივს განხრახული აქვს მოახდინოს რამდენიმე უბნისა და დანადგართა რეკონსტრუქცია.

მარტენის საამქროში განზრახულია დამატებით ფოლადსადნობი ორი ღუმელი აგება, ხიდური ამწეების სიმძლავრეთა გადიდება, ბოყვების ჰიდრავლიკურად საწმენდ დანადგართა მოწყობა, ღუმელების ცივად შეკეთების სამუშაოთა მექანიზაცია, გაცილებით მაღალი ცეცხლგამძლე აგურის გამოყენება და, რაც მთავარია, ფოლადის დნობის პროცესის ინტენსიფიკაცია ჟანგბადის გამოყენებით. ეს ღონისძიებანი მნიშვნელოვნად გაზრდის მარტენის საამქროს წარმადობას, რაც თავის მხრივ ბლუმინგის საამქროს წარმადობის გადიდების საჭიროებასაც ქმნის. კერძოდ, ამ საამქროში მთავარ ღონისძიებას წარმოადგენს გამახურებელი ჭების 3 ჯგუფის დამატება. ეს 40 პროცენტით გაზრდის ბლუმინგის წარმადობას.

მილმგლინავებმა გადაწყვიტეს პროდუქციის სორტამენტის გასადიდებლად საამქროში დადგან ეგრეთწოდებული დგანი — გამფართოებელი. დგან „140“-ზე დაინერგება ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია. ამავე დგანსა და დგან „400“-ზე გლინების დახრის კუთხის გადიდებითა და ბრუნვათა სიჩქარის მომატებით დგანების წარმადობა 5-6 პროცენტით ამაღლდება. მილსაგლინავ საამქროში კიდევ მრავალი ანალოგიური ხასიათის პროგრესული ღონისძიება განხორციელდება, რაც მილმგლინავებს საშუალებას მისცემს გაუმჯობესონ შრომის პირობები, მინიმუმამდე დაიყვანონ დანადგართა მოცდენა, გაზარდონ მათი საათობრივი წარმადობა, შეამცირონ ლითონის დანაკარგები და მიიღონ ეკონომიური პროფილის მილები.

ქარხნის ყველაზე ახალგაზრდა საწარმოში — წვრილსორტულ საამქროში განსახორციელებელ ღონისძიებათა კომპლექსი ვარაუდობს ახალი ხუთწლედის დამლევისათვის საგლინავ დანადგართა წარმადობა გაიზარდოს 28 პროცენტით. აქ განზრახულია აიგოს ნამზადის გამახურებელი მეორე ღუმელი მექანიზებული ჩამტვირთავი მოწყობილობით, ხოლო ასეთივე მოწყობილობა დამონტაჟდეს პირველ ღუმელზეც, რაც სულ მცირე 2 პროცენტით აამაღლებს საამქროს შრომის ნაყოფიერებას. ამავე მიზნით დგან „320“-ის ხაზზე რეკონსტრუირებულ იქნება რედუქტორი.

ჩვენი მიზანია მთელი შესაძლებლობით ვიბრძოლოთ ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტის შევსებისათვის, ამჟამად წამოყენებულ წინადადებათა დროულად განხილვისათვის და ამით ნაყოფიერი ნიადაგი მოვამზადოთ იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რაც მძიმე ინდუსტრიის მუშაკთა წინაშე კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს.

ნ. გოგელაური,
სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი.

მეჯი ყურადღება ეროვნული გაზეთების გავრცელებას

საბჭოთა პრესა კომუნისტური პარტიის ყველაზე ბასრი იდეური იარაღია. იგი დიდ როლს ასრულებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდაში, მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელებისათვის საბჭოთა ხალხის დარაზმვაში.

კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს გაზეთებისა და ჟურნალების იდეური შინაარსის გაუმჯობესებისათვის, მათი ტირაჟების ზრდისათვის. ჟურნალ-გაზეთები ფართოდ შეიჭრა საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებაში. ამჟამად საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში ვრცელდება გაზეთებისა და ჟურნალების 60 მილიონზე მეტი ცალი ერთჯერადი ტირაჟი.

პირველ ოქტომბერს დაიწყო ხელმოწერა ცენტრალურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე 1956 წლისათვის. ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის მიმდინარე კამპანია დაემთხვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისათვის გაჩაღებულ მზადებას, რაც განსაკუთრებულ ამოცანებს უყენებს კავშირგაბმულობის მუშაკებს.

მიმდინარე წელს დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოსახლეობის რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ისე სამეცნიერო და ტექნიკური ჟურნალ-გაზეთებით. მომავალი წლიდან გამოვა 35 ახალი სამეცნიერო და საწარმოო ჟურნალი, გადიდებული იქნება ხელმოწერა სასოფლო-სამეურნეო ჟურნალ-გაზეთებზე სოფლად რაიონულ ცენტრებსა და ქალაქებში საბიუჯეტო ხელმოწერის შემცირების ხარჯზე, გადიდდება აგრეთვე მოსახლეობაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება „სოიუზპეჩატის“ კიოსკებში საცალო ვაჭრობის გზით.

„სოიუზპეჩატის“ ადგილობრივ განყოფილებებსა და კანტორებში ამჟამად გაჩაღებულია მუშაობა პრესის გავრცელების საუკეთესოდ მოწყობისათვის.

რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონები (აბაშა, ამბროლაური, საჩხერე, წითელწყაროო, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, მახარაძე, ბორჯომი, ლაგოდეხი და სხვ.) წარმატებით ამთავრებენ 1955 წელს პრესის გავრცელების დარგში. მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ წლის დასაწყისში გამოწერილი ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი, რითაც უზრუნველყვეს ცალკეულ გამოცემებზე მკითხველთა მუდმივი კონტინგენტის შექმნა და აგრეთვე სახელმწიფო-საფინანსო გეგმის შესრულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრესის გავრცელების საქმეში მთელ რიგ რაიონებში (ახალქალაქი, გორი, ზუგდიდი, კაჭრეთი, წყალტუბო, ფოთი და სხვ.) ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები: სატირაჟო დისციპლინის დარღვევა, მკითხველთა დენადობა წლის განმავლობაში და სხვ. აღნიშნული რაიონების კავშირგაბმულობის მუშაკები გატაცებული იყვნენ მხოლოდ საფინანსო გეგმის შესრულებით, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ზრდიდნენ ცალკეულ გამოცემებზე ხელმოწერას სხვა გამოცემათა ხარჯზე, ხოლო არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მთლიანი სატირაჟო გეგმის დაცვას და თვითეული გამოცემის ტირაჟის ათვისებას.

ასეთი ნაკლოვანებები აღარ უნდა გამეორდეს. საჭიროა აქედანვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სატირაჟო დისციპლინის ზუსტად დაცვას და ზეგეგმითი ხელმოწერების მავნე პრაქტიკის აღმოფხვრას.

კავშირგაბმულობის ორგანოებს პრესის გავრცელების საქმეში დიდ დახმარებას უწევენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. მათ ეს დახმარება მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ და იბრძოლონ პერიოდული პრესის, განსაკუთრებით ადგილობრივი საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების ფართოდ გავრცელებისათვის.

ჟურნალ-გაზეთების გავრცელება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკთა და ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი საზოგადოებრივი რწმუნებულების ვალია პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მიაღწიონ ქალაქად და სოფლად, მოსახლეობის ყველა ფენაში პრესის მასობრივად გავრცელებას. ეჭვი არ არის, რომ ისინი ამ საპატიო ამოცანას ღირსეულად შეასრულებენ.

ა. შარაშიძე,
„სოიუზპეჩატის“ რესპუბლიკური განყოფილების უფროსი.

22 მანეთი შრომადღეზე ავანსად

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში იბრძვიან სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის. გაიზარდა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი. მარტო ჩაის მეურნეობიდან შემოვიდა 8,5 მილიონი მანეთი. კოლმეურნეებმა ამ დღეებში შრომადღეზე ავანსად 22 მანეთი მიიღეს.

კოლმეურნე ამირან ჩხარტიშვილის ოჯახმა წელს 941 შრომადღე გამომუშავა და ავანსად მიიღო 21 ათასი მანეთი. ერმილე ჩხარტიშვილის ოჯახმა გამომუშავებულ 903 შრომადღეზე მიიღო 20 ათასი მანეთი, სერაბონ დარჩიას ოჯახმა — 18 ათასი მანეთი, ნატიფო ჩხარტიშვილის ოჯახმა — 17.400 მანეთი. ასეთი ოჯახები აქ ცოტა რადა.

დღითიდღე მაღლდება კოლმეურნეთა შეძლებულობის დონე. მიმდინარე წელს 18 კოლმეურნემ აიშენა ახალი ორსართულიანი სახლები.

გავაძლიერეთ საშემოდგომო თესვის ტემპი

ორი მაგაღითი

მოწინავე მექანიზატორები

დმანისი. („კომუნისტის“ კორ.). დმანისელმა მექანიზატორებმა ფარეოდ გაიჩალეს სოციალისტური შეჯიბრება საშემოდგომო თესვის აგროტექნიკურ ვადებში დამთავრებისათვის. შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი ბ. მამედოვი), რომელმაც დმანისის კულიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში, გეგმით გათვალისწინებული 250 ჰექტარიდან დათესა 172 ჰექტარი. ჯვარედინად უნდა დათესა 90 ჰექტარი, დათესა 100 ჰექტარზე მეტი.

კარგად მუშაობს მეხუთე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი მ. ქარიმოვი), რომელმაც კამარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული 120 ჰექტარის ნაცვლად დათესა 135 ჰექტარი, აქედან 77 ჰექტარი დათესილია ჯვარედინად, გეგმა კი 20 ჰექტარს ითვალისწინებდა. მეორე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ვ. ოქრიაშვილი ხელმძღვანელობს, სოფელ ჯავახის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში თესვის გეგმა უკვე შეასრულა, გეგმის ზევით ჯვარედინად დათესა 29 ჰექტარი.

მტს-ის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ საშემოდგომო თესვა უახლოეს დღეებში დაამთავროს და წლიური გეგმის შესრულებით შეხვდეს ოქტომბრის დიად დღესასწაულს.

მაღალი ჯემპით მუშაობენ

ხაშური. (სპეც. კორ.). საკოლმეურნეო მინდვრებში გაცხოველებული მუშაობაა. სიმინდისა და შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებასთან ერთად მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა-თესვა.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ნაცარგორის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა. აქ რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრეს სიმინდისა და შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება. ამჟამად კოლმეურნეობაში გაძლიერებული ტემპით თესავენ საშემოდგომო ხორბალს.

კოლმეურნეობას კარგად ეხმარება გომის მტს-ის ტრაქტორისტი ბ. ბარათაშვილი. იგი „დტ-54“ მარკის ტრაქტორით 2 სათეს მანქანას ამუშავებს და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ჰექტარისა ყოველდღიურად ჯვარედინად თესავს 30-35 ჰექტარ ხორბალს.

კოლმეურნეთა პირობაა საშემოდგომო თესვა დაამთავრონ 18 ოქტომბრამდე.

ორი მაგაღითი

თესვისათვის საუკეთესო ამინდი იყო. ზოლნისის რაიონის თამარისის მტს-ის მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი ვ. ჰასანოვი) თესვას განაგრძობდა 70 ჰექტარ ნაკვეთზე. დილიდანვე ერთი ტრაქტორი ტექნიკური მიზეზით მწყობრიდან გამოვიდა. სათესები ცდება. სანამ შეავკეთებდეთ, გადახვნაზე მომუშავე „დტ-54“ მარკის ტრაქტორი დაახმარეთ ჩვენა ბრიგადასო.

— კარგი, გთხოვებ, მხოლოდ ერთი პირობით, — განუცხადა ყურბანოვმა. — დღით თესვაზე თქვენთან ამუშავებს, ღამე გადახვნაზე კი ჩემთან. ასე შეთანხმდნენ.

ტრაქტორი გადაიყვანეს მეოთხე ბრიგადის ნაკვეთში. ასეთი ურთიერთდახმარებით საღამომდე ნაკვეთი მთლიანად დათესეს ჯვარედინად.

ამ ბრიგადირების თანამეგობრობის შედეგია ის, რომ მეექვსე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტებმა ნ. ჰუსეინოვმა და ა. ბადალოვმა საშემოდგომო თესვის პირველ სამ დღეში 120 ჰექტარი დათესეს. ტრაქტორისტები კ. ჰუსეინოვი, გ. ყურბანოვი, ნ. ჰუსეინოვი ნაკვეთის სათესად მომზადების ყოველდღიურ დავალებას 120-150 პროცენტით ანაღდებენ. საშემოდგომო თესვაში მეექვსე ბრიგადას არც მეოთხე ჩამორჩენია — ასევე გადაჭარბებით ასრულებს ცვლის ნორმებს თესვაში და ხვნაში.

სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვება“, რომელსაც ეს ორი სატრაქტორო ბრიგადა ემსახურება, ბრიგადირებს ყოველმხრივ ეხმარება. გამოუყო ურმები თესლის მოსატანად. საწვავ-საცხები ყოველთვის დროზე მიაქვთ. ასეთი დახმარების შედეგად სატრაქტორო ბრიგადებმა თესვის პირველ დღეებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

მაგრამ მათს გამოცდილებას მტს-ის სხვა ბრიგადებში არ იყენებენ. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის მერვე სატრაქტორო ბრიგადაზე (ბრიგადირი ო. ბაირამოვი), რომელიც ემსახურება სოფელ ქვემო ქომაქალისის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას. მართალია, ბრიგადამ მოკლე დროში 115 ჰექტარი დათესა, მაგრამ უხარისხოდ. 4 ოქტომბერს ორი სათესი ზერელედ თესდა ხორბალს. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ნაკვეთი თესვის წინ ცუდად დაამუშავეს. არ შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეობის აგრონომი გ. გაბაძე მინდორში არ დადიოდეს, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ სიარულს, როცა იგი ვერ ამჩნევს უხარისხოდ მოხნულსა და დათესილს. აქ სიბეზში ჩაყრილი თესლი სარეველა მცენარეების თესლითა და სხვა მინარევებით იყო სავსე. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ ქოჩულოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობაშია. კონდიციური თესლის უქონლობის გამო ხშირია სათესების მოცდენა. ამიტომ არის, რომ მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადას 4 სათესით 4 ოქტომბრისათვის მხოლოდ 25 ჰექტარი ჰქონდა დათესილი.

მტს-ში სათანადოდ არ არის გამოყენებული მძლავრი ტექნიკა. მაგალითად, „დტ-54“ და „კდ-35“ მარკის ტრაქტორები მთელი დატვირთვით ვერ მუშაობენ. ამ ტრაქტორებს ერთდროულად შეუძლიათ ამუშაონ სამ-სამი და მეტი სათესი. თამარისის მტს-ის ზონაში ამის საუკეთესო პირობებია (სწორი, ფართო და გრძელი ნაკვეთები). მაგრამ მექანიზატორებს ამ ძლიერი ტრაქტორების მთლიანი დატვირთვის საშუალება არა აქვთ. მტს-ს არა აქვს ტრაქტორზე სასათესების სპეციალური მისაბმელი მოწყობილობა, რის გამო ამუშავებს ერთ ან ორ სათესს. საჭიროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მტს-ს ამ მხრივ სათანადო დახმარება გაუწიოს.

თამარისის მტს-ის ზონის კოლმეურნეობათა უმრავლესობას დიდძალი თესლი სათეს კონდიციამდე არ აუყვანია, სოფელ სარაჩლოს ეიროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 800 ცენტნერი ხორბლის თესლიდან კონდიციური მხოლოდ 200 ცენტნერია. ასეთ ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, მტს-ებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ თესლის გაწმენდის დასაჩქარებლად, არ დაუშვან ტექნიკის მოცდენა, მაქსიმალურად გამოიყენონ თვითეული დღე, რათა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრონ საშემოდგომო თესვა.

რ. დავითური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მტკიცედ დავიცვათ აგროტექნიკური წესები

სექტემბრის მეორე ნახევრისა და ოქტომბრის პირველი დღეების ზომიერმა ამინდმა საუკეთესო პირობები შექმნა თავთავიანი მარცვლეული კულტურების საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის ამბროლაურის რაიონში. ეს პირობები რაიონის ზოგიერთმა კოლმეურნეობამ კარგად გამოიყენა, დროულად მოამზადა სათესლე მასალა, კონდიციამდე დაიყვანა ფიგ. ნიადაგი მაღალხარისხოვნად დაამუშავა, გაანოყიერა ორგანული და მინერალური სასუქებით და წარმატებით დაიწყო თესვა.

მაგალითად, სოფელ თლუღის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობამ თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა ვადაზე ადრე დაამთავრა. მან საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დათესა 65 ჰექტარი. სოფელ აგარა-უყეშის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ტურძილაძე) 35 ჰექტარის ნაცვლად 40 ჰექტარი დათესა. თესვაში წინ მიდიან სოფელ სადმელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. ჭელიძე), სოფელ სინთლის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე კ. კობახიძე).

მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ რაიონში საშემოდგომო ხვნა-თესვა წარმატებით მიმდინარეობდეს. წელს კოლმეურნეობებმა 1.800 ჰექტარი თავთავიანი კულტურები უნდა დათესონ და ამავე დროს თესვა 20 ოქტომბრისათვის დაამთავრონ. მაგრამ როგორც შემოწმებამ გვიჩვენა ზოგიერთ კოლმეურნეობას დღემდე თესვისათვის ნიადაგის მომზადებაც არ დაუმთავრებია. მაგალითად, ხიდიკრის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. საგანელიძე) 60 ჰექტარიდან მხოლოდ 20 ჰექტარი აქვს მოხნული. სოფელ ჭყვიშის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას თესვის დავალება სანახევროდ აქვს შესრულებული. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ წესის კოლმეურნეობაშია.

ცნობილია, რომ მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მთავარი პირობაა მაღალხარისხოვანი თესლი. ამიტომ არის, რომ მრავალ კოლმეურნეობაში სათესლე ხორბალს გულდასმით ამზადებენ. მანქანით გასუფთავების შემდეგ კვლავ ხელით წმენდენ, მთლიანად ამორჩევენ სარეველების თესლსა და დაზიანებულ მარცვლებს, სათესლე მასალა სრულ კონდიციამდე აჰყავთ. მაგრამ ასე როდი იქცევიან სოფელ ჭყვიშის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ პურის თესლს გაწმენდა აკლია. ეს მაშინ, როცა ამ თესლზე მათ ვარგისიანობის მოწმობა აქვთ.

ჭყვიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამბ. რ. გადაბაძემ განაცხადა: — არა უშავს რა, თესლის გაწმენდა მთლიანად ვერ მოვასწარით და თესვას ამის გამო ხომ არ შევაჩერებდითო.

რაიონის კოლმეურნეობებში შეუწყნარებელად ნელი ტემპით მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა-თესვა. გეგმა ერთი მესამედითაც არ არის შესრულებული. 1.800 ჰექტარიდან 10 ოქტომბრისათვის დათესილი იყო მხოლოდ 285 ჰექტარი და მოხნული 400 ჰექტარი.

საშემოდგომო ხვნა-თესვას მოუმზადებელი შეხვდა ამბროლაურის მტს-ი. ხშირია ტრაქტორებისა და სათესი მანქანების მოცდენა. სოფელ სინთლის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში ნაწილის დაზიანების გამო ახალი ტრაქტორი 7 და 8 ოქტომბერს უქმად იდგა.

ხვნა-თესვაში ჩამორჩენა ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ამბროლაურის მტს-ი (დირექტორი ამხ. ა. გაგომაძე) ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობს, კონტროლსა და დახმარებას ვერ უწევს კოლმეურნეობებს.

ხვნა-თესვის დარგში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს ტექნიკისა და შრომითი რესურსების სრულ გამოყენებას. აქეთკენ უნდა წარმართონ ახლა თავიანთი ღონისძიებანი რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

გ. ხენგავა,

ა. გეშიძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.



ალაზნის მტს-ის მერვე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ი. ზურაშვილი) თესავს სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში „აწარმოებს. მექანიზატორებმა დათესეს 800 ჰექტარზე მეტი ხორბალი. ჩაუბნენ რა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მათ ვალდებულება იკისრეს თესვა 20 ოქტომბრისათვის დაამთავრონ და გეგმის გადამეტებით დათესონ 367 ჰექტარზე ხორბალი. სურათზე: საშემოდგომო თესვა ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო შ. გოკაძისა.

წალკის რაიონში

სკოლის ახალი შენობა

ახალი სასწავლო წლისათვის ძვირფასი საჩუქარი მიიღეს სოფელ ბეშთაშენის მოსწავლეებმა. საეკსპლოატაციოდ გადაეცა საშუალო სკოლის ახალი ორსართულიანი კეთილმოწყობილი სკოლის შენობა. შენობას აქვს 25 ოთახი. მათში მოთავსებულია კლასები და სასწავლო კაბინეტები. სკოლაში სწავლობს 800 მოსწავლე.

სოფლების ელექტროფიკაცია

გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს რაიონის სოფლების ელექტროფიკაციისათვის. სოფელ აშკალის კოლმეურნეობაში დაშბაშეხისგან გაყვანილია ძირითადი ბაზი. ილიჩის ნათურებით უკვე განათებულია კოლმეურნეობის კამტორა, ფერმა, სოფლის კლუბი და ბიბლიოთეკა. ელექტროხაზების გაყვანა მიმდინარეობს კოლმეურნეთა ბინებში. მალე მიიღებენ ელექტროენერგიას სოფელ აიაზმის კოლმეურნეები. წელს ელექტროფიცირებულ იქნება აგრეთვე სოფლები დარაქოი და ყიზილქილისა.

პირუტყვის ბინების მექანიზაცია

შარშან სოფელ ბეშთაშენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ააშენა ტიპური ბოსელი. ამჟამად მიმდინარეობს ფერმაში შრომის პროცესების მექანიზაცია. უკვე გაყვანილია საბაგირო გზა საკვების შესაზიდად და ნაკელის გასატანად. მიმდინარეობს საკვები განყოფილების მოწყობა, სადაც ადგმება საკვების საჭირელი და დასაორთქლებელი მანქანები, ავტომატური სარწყულებელები. ფერმაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას შეუდგა სოფელ ავრანლოს კოლმეურნეობა. წელს ტიპური პროექტებით მეცხოველეობის ბინებს აშენებენ დაბა მოლოტოვის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, სოფელ ახალიკის და აშკალის კოლმეურნეობები.

წყალსადენის მშენებლობა

რაიონის ცენტრიდან 25 კილომეტრის მანძილზე დაიწყო მიწის სამუშაოები ახალი წყალსადენის მშენებლობისათვის, რომელიც წელს უნდა დამთავრდეს. მშენებლობის დამთავრების შემდეგ საუკეთესო წყაროს წყალს მიიღებს რაიონის ცენტრი წალკა და 7 სოფელი.

რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა

სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება რაიონული ცენტრი — წალკა. მას მოკლე დროში შეემატება ორი ახალი ქუჩა, სადაც 3.880 კვადრატულ მეტრზე დაიგება ასფალტი. შენდება ბანო, მთავარ ქუჩაზე აშენდა პოლიკლინიკის 16-ოთახიანი ახალი შენობა. რაიონის ცენტრს ამშვენებს საუკეთესო დეკორაციული ბაღი და სკვერები, სადაც 2.500 დეკორაციული ხე დაირგო. წელს აღმასკომისა და ხრამის ქუჩის კუთხეში მდებარე სკვერში დაიდგა ვ. ი. ლენინის ძეგელი.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი კოლმეურნეობებში მუშაობენ

ყაზბეგი. (საქდესი). სოფელ ყაზბეგის ზევრი კოლმეურნის შვილები საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საკოლმეურნეო წარმოებაში მუშაობენ. მაგალითად, უ. კაზალიკაშვილმა აითვისა ელექტროსაპარსი აგრეგატი. ცხვრის პარსვის პერიოდში იგი ყოველდღიურად იძლეოდა 50-60 კილოგრამ მატყლს, გეგმაზე თითქმის ორჯერ მეტს. გ. ფიცხელაური საკვების მომამზადებელი ბრიგადის ბრიგადირია. საშუალო განათლების ატესტატი აქვთ კოლმეურნე მწყემსებს ნ. ფიცხელაურს, ვ. ქუშაშვილსა და სხვებს.

ახალგაზრდა კოლმეურნეები — საშუალო სკოლის აღზრდილები ი. შადური, ლ. გიგაური, ლ. ქუშაშვილი კოლმეურნეობის საცდელ ნაკვეთზე მუშაობენ მაღალმთიანი რაიონის მკაცრ პირობებთან შეგუებული ახალი ჯიშების ბოსტნეულის გამოყვანაზე და ამასთან ერთად განაგრძობენ სწავლას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

დამთავრდა კაჭრეთის რაიონის სოფლების ელექტროფიკაცია

საქსოფლელექტროს გურჯაანის სამშენებლო-სამონტაჟო კანტორამ წელს ახალი ღონისძიებანი განახორციელა კაჭრეთისა და სიღნაღის რაიონების მთლიანი ელექტროფიკაციისათვის. ამ დღეებში ელექტროდენი მიიღეს კაჭრეთის რაიონის სოფლებმა ორმუღანლომ, ლამბალომ და დუზაგრამამ. ამით დამთავრდა კაჭრეთის რაიონის საკოლმეურნეო სოფლების მთლიანი ელექტროფიკაცია. მალე დასრულდება სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ელექტროქსელის გაყვანა, რითაც სიღნაღის რაიონი ჩადგება რესპუბლიკის მთლიანი ელექტროფიკაციის რაიონების მწყობრში.

ახლა კაჭრეთისა და სიღნაღის რაიონების კოლმეურნეობები შრომატევადი სამუშაოების შესასრულებლად 80 ელექტრომოტორს გამოიყენებენ.

(საქდესი).

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ახალი სასწავლებელი

გორი. (საკ. კორ.). 1 ოქტომბრიდან სოფელ ხიდისთავში მეცადინეობა დაიწყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელში, რომელიც წელს გაიხსნა.

სკოლა პირველ სასწავლო წელს 150 ტრაქტორისტს გამოუშვებს.

ლენინგრადში მოვიდა ტრაქტორული სამხედრო ხომალდებრიგადა

ლენინგრადი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ლენინგრადში მოვიდა ინგლისის სამხედრო ხომალდების რაზმი მეტროპოლიის ფლოტის სარდლის ადმირალ მაიკლ დენის ალმით. რაზმის შემადგენლობაში არიან ავიოსანი „ტრიუმფი“, ნაღმგადამღობი „აპოლო“, საესკადრო ნაღმოსნები „დეკოი“, „დიანა“, „ჩიფტეინი“ და „შევრონი“.

მცურავი შუქურის რაიონში ინგლისის ხომალდებს შეხვდა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის საესკადრო ნაღმოსანი საზღვაო მონადირეთა თანხლებით. საბჭოთა ხომალდმა 17 გასროლით მისცა სალუტი მეტროპოლიის ფლოტის სარდალს ადმირალ მაიკლ დენის. ავიოსანმა „ტრიუმფმა“ უპასუხა 7 გასროლით საბჭოთა საესკადრო ნაღმოსნის მეთაურის პატივსაცემად.

როცა ინგლისის ხომალდების რაზმი მოუახლოვდა კრონშტადტს, ავიოსანმა „ტრიუმფმა“ 21 გასროლით მისცა ერების სალუტი. ავიოსნის ანძაზე ალმართეს საბჭოთა ალმი. ინგლისის ხომალდის ორკესტრმა შეასრულა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. კრონშტადტის ფორტის ბატარიებმა მოახდინეს 21 სალამუნი გასროლა.

ჩაუარა რა კრონშტადტს, „ტრიუმფმა“ მოახდინა 17 გასროლა სამხედრო-საზღვაო ბაზის მეთაურის ადმირალ ი. ი. ბაიკოვის პატივსაცემად. ამდენივე გასროლით უპასუხეს კრონშტადტის ბატარიებმა. კრონშტადტის ფორტის ბატარიებმა მოახდინეს 21 სალამუნი გასროლა.

ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „დიანა“ „დეარინგის“ ტიპის უახლესი მძიმე საესკადრო ნაღმოსანია.

სანაპიროებზე შეკრებილი ათასობით ლენინგრადელი დღეს ხედავდა როგორ დგებოდნენ ნევის რეიდზე ინგლისის ხომალდები.

პორტსმუთს ჩავიდა საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი

პორტსმუთი. 12 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ინგლისის სამხედრო ბაზა პორტსმუთში მეგობრობის ვიზიტით მოვიდა საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი. რაზმის შემადგენლობაში კრეისერები „სვერდლოვი“ და „ალექსანდრე სუვოროვი“, საესკადრო ნაღმოსნები „სმეტლივი“, „სპოსობნი“, „სმოტრიაშჩი“ და „სოვერშენნი“. 11 საათზე ლონდონის დროით საფლაგმანო კრეისერ „სვერდლოვის“ ქვემეხებმა მისცეს ერების სალუტი — 21 ზალპი. ინგლისის ნაპირიდან გაისმა ციხის ქვემეხთა საპასუხო მისასალმებელი ზალპები.

ზღვის მოქცევის მოლოდინში ხომალდები ჩამწკრივდნენ რეიდზე. რაზმის სარდალი ადმირალი ა. გ. გოლოვკო ჩავიდა ნაპირზე და ვიზიტი გაუკეთა პორტსმუთის ბაზის სარდალს ფლოტის ადმირალ ჯ. კრიზის.

ინგლისის სამხედრო ფლოტის ვეტერანის — ნელსონის ფრეგატ „ვიქტორის“ გემბანზე ჩამწკრივდა ინგლისის სამხედრო მეზღვაურთა სპატაკი ყარაული. ფლოტის ადმირალი ჯ. კრიზი მიესალმა ადმირალ გოლოვკოს. დაუკრეს საზეიმო მარში, ადმირალმა გოლოვკომ ჩამოუარა საპატიო ყარაულს. შემდეგ ადმირალმა გოლოვკომ ვიზიტი გაუკეთა პორტსმუთის ლორდ-მერს გ. ა. დეის.

დღის 3 საათზე, ზღვის მოქცევის დაწყებისთანავე, ხომალდები ზედიზედ შედიან ნავსადგურში და დგებიან კიდელთან.

მწყობრად ჩამწკრივდნენ გემბანზე მეზღვაურები. ხომალდების ორკესტრები ასრულებენ მარშებს. ნაპირზე შეკრებილი ათასობით ინგლისელი გულთბილად მიესალმა საბჭოთა მეზღვაურებს.

მას შემდეგ რაც საფლაგმანო კრეისერ „სვერდლოვი“ ნაპირს მიადგა, სსრ კავშირის დროებითი საჭეთა რწმუნებული ინგლისში ნ. დ. ბელობოროდოვი, ადმირალი ა. გ. გოლოვკო, ფლოტის ადმირალი ჯ. კრიზი, პორტსმუთის ლორდ-მერი გ. ა. დეი ქვემეხთა სალუტის გრიალში და საბჭოთა კავშირის ჰიმნის ხმაზე ავიდნენ კრეისერის გემბანზე და ჩამოუარეს მეზღვაურთა მწყობრს. ადმირალ კრიზს მეზღვაურებმა მეზღვაურებმა უპასუხეს ერთსულოვანი შეძახილით — „ვაშა“. ხომალდის ორკესტრი ასრულებს დიდი ბრიტანეთის ჰიმნს.

პორტსმუთის მეტროვრებლები და დოკერები, რომლებიც გემმშენებლებთან შეიკრიბნენ, დიდი ინტერესით ათვალიერებენ საბჭოთა ხომალდებს.

დღეს ქალაქის ხელისუფალნი საბჭოთა ოფიცრებისა და მატროსებისათვის აწყობენ დარბაზობებსა და საღამოებს.

პორტსმუთი. 13 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ ინგლისში მეგობრობის ვიზიტით ჩამოსული საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმის სარდალმა ადმირალმა ა. გ. გოლოვკომ კრეისერ „სვერდლოვის“ გემბანზე მიიღო ინგლისის პრესის წარმომადგენლები. ადმირალმა ა. გ. გოლოვკომ განაცხადა, რომ საბჭოთა მეზღვაურები მოხარულნი არიან დაამყარონ პირადი კონტაქტი ინგლისელ მეზღვაურებთან. პრესის წარმომადგენელთა მეშვეობით ადმირალმა გოლოვკომ პორტსმუთის მეტროვრებლებსა და პორტსმუთის ბაზის სარდალს მადლობა გადასცა კარგი შეხვედრისათვის და რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა ხომალდების ვიზიტი პორტსმუთში და ინგლისის ხომალდებისა — ლენინგრადში ხელს შეუწყობს ორი ხალხის მეგობრობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სპეციალისტთა დელეგაცია ინგლისში

ლონდონი. 11 ოქტომბერი. (საკდესი). რათა განაგრძოს ინგლისის მსუბუქი მრეწველობის გაცნობა, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სპეციალისტთა და მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, რამდენიმე ჯგუფად დაიყო.

ა. ნ. კოსიგინი და დელეგაციის წევრები, რომლებიც მას ახლავან, გუშინ ჩავიდნენ ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში. აეროდრომზე ა. ნ. კოსიგინს შეხვდნენ ჩრდილოეთ ირლანდიის ვაჭრობის მინისტრი ლორდი გლენტორნი და მთავრობის სხვა წარმომადგენლები.

საუზმის დროს, რაც ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობამ გამართა საბჭოთა დელეგაციის წევრების პატივსაცემად, ლორდი გლენტორნი მიესალმა საბჭოთა დელეგაციას და განაცხადა, რომ ამ ვიზიტით დაიწყო ახალი ერა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის ვაჭრობაში. სადასტურო სიტყვაში ა. ნ. კოსიგინმა მადლობა გამოთქვა გულთბილი მიღებისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და ინგლისის ეკონომიური ურთიერთკავშირის განვითარება არა მარტო ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ხალხთა შორის უკეთეს გაგებას, არამედ დაიხმარება ფართეთ მშვიდობის განმტკიცების მთელ მსოფლიოში.

საუზმეზე იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები და ბელფასტის უდიდესი საფეიქრო კომპანიების დირექტორები.

დღისით კოსიგინი და დელეგაციის წევრები ეწვივნენ საფეიქრო ფაბრიკებს, აგრეთვე ბაგირისა და თეკნსაპერი ბადის მწარმოებელ საწარმოებს.

საღამოს საბჭოთა დელეგაცია იყო თეატრში გემების დიდ ნავსადგომში, რომელიც ამას წინათ გაიხსნა და მდებარეობს ბელფასტიდან 25 მილზე. იქ დელეგაციამ დაათვალიერა ტრაიულერები, დელეგაციის წევრები დიდხანს ესაუბრნენ ტრაიულერთა კაპიტნებს.

დელეგაციის წევრთა მეორე ჯგუფი კვლავ ეცნობა ინგლისის საფეიქრო საწარმოებს. დელეგატები ეწვივნენ დარლინგტონის შალეულის ფაბრიკას. ეს ფაბრიკა ერთ-ერთი უდიდესია ინგლისში. ეკუთვნის „პატონსისა და ბოლდუნსის“ ფირმას. საბჭოთა სპეციალისტებს უჩვენეს მთელი რიგი ახალი მანქანები, რომლებსაც იყენებენ შალეულის წარმოებაში. შემდეგ დელეგაციის წევრები ჩავიდნენ ბრაიფორდში — ინგლისის შალეულის მრეწველობის ცენტრში და გაეცნენ შალეულის წარმოებას ერთ-ერთ ადგილობრივ ფაბრიკაში. შალეულის საწარმოების მფლობელთა ასოციაციამ სადილი გამართა ბრადფორდში საბჭოთა დელეგაციის ყოფნის გამო.

საბჭოთა დელეგაციის რამდენიმე წევრმა დათვალიერა საღებართა ლაბორატორიები, რომლებიც ეკუთვნის „იმპერიელ კემიკლ ინდასტრისის“ ფირმას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია იუგოსლავიაში

დუბროვნიკი, 12 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ დათვალიერა ქალაქი ტრებინიე, გვირგვინით შეამკო სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპულთა და ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა საფლავი და დათვალიერა საინსტრუმენტო ქარხანა. ამ ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1951 წელს. ახლა ქარხანა ნაწილობრივ ჩადგა მწყობრში. სტვადასტვა ადგილას გაიმართა დელეგაციის წევრთა გაცხოველებული საუბრები მუშებთან, ინჟინრებთან, ტექნიკოსებთან. ქარხნის მუშაკები სურვილს გამოთქვამდნენ უფრო მჭიდრო კავშირი დაყარდეს საბჭოთა კავშირის მეინსტრუმენტელებთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია დღესვე ჩამოვიდა დუბროვნიკში, სადაც გაეცნობა ამ ქალაქ-კურორტის ღირსშესანიშნაობებსა და ძველი დროის ძეგლებს. 13 ოქტომბერს დილით დელეგაცია გემით გაემგზავრება ბოკუ კოტორსკუში.

მშენებლობის დარგის სპეციალისტების საბჭოთა დელეგაცია საფრანგეთში

პარიზი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვმა დარბაზობა გამართა მშენებლობის დარგის სპეციალისტების საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად. დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. კუჩერენკო, აქ იმყოფება საფრანგეთის ეკონომიური საბჭოს მოწვევით. დარბაზობაზე იყვნენ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ედგარ ფორი, საფრანგეთის ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე ემილ როშა, მინისტრები, პარლამენტის დეპუტატები, საფრანგეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები. დარბაზობამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

წინადღეს საფრანგეთის ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარემ ემილ როშმა საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად გამართა საუზმე, რომელზეც იყვნენ ავრეთვე სსრ კავშირის ელჩი ს. ა. ვინოგრადოვი და საფრანგეთის ეკონომიური საბჭოს რეკონსტრუქციის კომისიის წევრები, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნდნენ. საუზმეზე სიტყვა წარმოთქვა ე. როშმა, რომელმაც სურვილი გამოთქვა, რომ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდეს უფრო მეტი კონტაქტი კულტურულ და ეკონომიურ დარგში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. (საკუთარი). 11 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხის განხილვისას სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომელმაც აღნიშნა განსახილველი საკითხის უდიდესი მნიშვნელობა ყველა ქვეყნის ხალხებისათვის.

ატომის ენერგია მშვიდობიანი მიზნით მისი გამოყენებისას, თქვა მან, ხელს შეუწყობს უდიდეს პროგრესს, რომლის გრანდიოზულობასა და მრავალფეროვნების გადაჭარბებით შეფასება ძნელია. მაგრამ თუ ეს გენიალური აღმოჩენა გამოყენებულ იქნა ომის მიზნებისათვის, იგი კაცობრიობას მოუტანს აუსაცილელ უბედურებასა და ტანჯვას.

სანამ არ აიკრძალება ატომური იარაღი და კაცობრიობა არ იქნება გადარჩენილი გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან, მანამდე სახელმწიფოთა ძირითადი ღონისძიებანი გარღვევად მოიზომება ატომის ენერგიის არა მშვიდობიან, არამედ სამხედრო გამოყენებას; ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხები კი გადატანილი იქნება მეორე პლანზე.

განიხილავთ რა მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხს, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოვრჩეს და მეორე პლანზე არ უნდა გადავტანოთ ის, რაც სახელმწიფოთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, სახელდობრ — ხალხების გადარჩენა ატომური ომის საფრთხისაგან. ამ მიზნის შეესაბამება საერთაშორისო შეთანხმების დადება ატომური იარაღის წარმოებისა და აკრძალვის შესახებ.

რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, მას საჭიროდ მიაჩნია ატომური იარაღის სრული აკრძალვის პრობლემის რაც შეიძლება მალე გადაჭრა და არაერთხელ შეუტანია შესაბამისი წინადადებანი როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში, ისე სხვა საერთაშორისო შეხვედრებსა და თათბირებზე. ამავე ამოცანას ისახავს სსრ კავშირის წინადადება, რომელიც 10 მაისს შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში.

ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკურ კონფერენციაში. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეს, თქვა კუზნეცოვმა, საბჭოთა მთავრობა საიდუმლოდ არ ინახავს თავის მიღწევებს ამ დარგში და ნაცვალებენს პირობებში უზიარებს თავის გამოცდილებას სხვა ქვეყნებს. საბჭოთა მეცნიერებმა კონფერენციაზე წარადგინეს 102 მეცნიერული მოხსენება.

საბჭოთა კავშირის მიერ კონფერენციაზე წარდგენილი ერთ-ერთი ძირითადი მოხსენება იყო მსოფლიოში პირველი ელექტროსადგურის შესახებ, რომელიც ატომის ენერგიით მუშაობს. კონფერენციის გახსნის მომენტისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომური ელექტროსადგური შეუფერხებლად იმუშავა წელიწადზე მეტი. ელექტროსადგურმა გამოიმუშავა 15 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია. ამიერიდან ეს ელექტროსადგური რეალური საფუძველი უფრო მძლავრი ატომური ელექტროსადგურების მშენებლობისათვის. საბჭოთა კავშირში დაპროექტებულია ატომის ენერგიით მომუშავე ელექტროსადგურები 50 და 100 ათასი კილოვატი სიმძლავრისა.

კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ამზად არის მზარი დაუჭიროს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ევროპაში მოწყობილი კონფერენციის მსგავსი კონფერენციების რეგულარული მოწვევა, და გამოთქვამს სურვილს, რომ ასეთი კონფერენციები მოწვეულ იქნას პერიოდულად, თუ შესაძლებელია ყოველწლიურად. ამ მიზნით მიზანშეწონილია გაერძელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საკონსულტაციო კომიტეტის საქმიანობა, რომელიც შეიქმნა გენერალური ასამბლეის IX სესიაზე გენერალური მდივნის დასახმარებლად, რათა შეეწუშავებინა ინციატივები განსარული ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ევენეის კონფერენციის პროგრამა და ორგანიზაცია.

ვ. ვ. კუზნეცოვის გამოსვლა პოლიტიკურ კომიტეტში

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სრულიად არანორმალური მდგომარეობა, განაცხადა კუზნეცოვმა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერება მოკლებული იყვნენ საშუალებას მონაწილეობა მიეღოთ ჟენევის კონფერენციაში.

გადავიდა რა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში სხვა ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის საკითხზე, კუზნეცოვმა თქვა:

ორმოცზე მეტი ქვეყნის ასობით მეცნიერმა, პოლიტიკურმა მოღვაწემ და საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა დათვალიერეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომური ელექტროსადგური. მეცნიერებს გააცნეს აგრეთვე ძლავრი უნიკალური ფიზიკური მანქანები — ელემენტარული ნაწილაკების დამჩქარებლები.

სსარგებლო ცნობების მნიშვნელოვანი რაოდენობა ატომგულის ფიზიკის დარგიდან და მეცნიერების, ტექნიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მედიცინის სხვადასხვა დარგში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების შესახებ, საბჭოთა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს 83 მოხსენებაში, რომლებიც წაკითხულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე მიმდინარე წლის ივლისში.

საბჭოთა მთავრობამ გადადგა ნაბიჯები იმისათვის, რომ ნაცვალგების პირობებით გაეზიარებინა თავისი გამოცდილება სხვა ქვეყნებისათვის. საბჭოთა კავშირის წინადადებებმა ტოელი გამოხმაურება ჰპოვეს ბევრ ქვეყანაში.

1955 წლის დამდეგს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის მთავრობებმა საბჭოთა კავშირში გამოგზავნეს დელეგაციები, რომლებშიც შედიოდნენ მეცნიერები და ინჟინრები.

მას შემდეგ, რაც აღნიშნული დელეგაციები გაეცნენ დამჩქარებლებისა და ატომური ქვაბების მუშაობას, დელეგაციის წევრებმა საბჭოთა კავშირის სპეციალისტებთან ერთად განიხილეს საკვლევი ატომური ქვაბებისა და დამჩქარებლების ტიპები, რომლებიც უნდა აშენდეს აღნიშნულ ქვეყნებში. ამ განხილვის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე საბჭოთა კავშირსა და ამ სახელმწიფოებს შორის დაიდო შეთანხმებანი.

ამ შეთანხმებათა შესაბამისად საბჭოთა კავშირი მონაწილეობას იღებს თვითეული აღნიშნული ქვეყნის სამეცნიერო-ექსპერიმენტული ბაზების შექმნაში, ამ მიზნით აწყდის მოწყობილობას ქვაბებისა და დამჩქარებლებისათვის და საჭირო ხელსაწყოებსა და დანადგარებს. საბჭოთა სპეციალისტები დახმარებას უწევენ მოწყობილობის მონტაჟში, აკრეფატების ამოშავებასა და მათი მუშაობის მოწესრიგებაში.

თავიანთი ატომური ქვაბების მშენებლობის დამთავრებამდე და ამუშავებამდე ყველა აღნიშნულ ქვეყანას შესაძლებელია აქვს მიიღოს სსრ კავშირში დამზადებული იზოტოპები. საბჭოთა კავშირი რადიაქტიურ იზოტოპებს აძლევს სრულიად შეუზღუდველად და სპეციალური პირობების დაუდებლად, ისეთსავე საფუძველზე, როგორც ყოველგვარ ქიმიურ პროდუქტებს. საბჭოთა კავშირი აგრეთვე აძლევს ქვეყნებს, რომლებმაც მასთან შესაბამისი შეთანხმებანი დადეს, ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისათვის საჭირო მეცნიერულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას.

მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების გამოცდილების გადაცემისას საბჭოთა კავშირი ემყარება იმას, რომ თვითეულ ქვეყანას, რომელიც შეთანხმება დადო სსრ კავშირთან, შეეძლოს შემდეგში თავისი სპეციალისტების ძალებით განახორციელოს მეცნიერული კვლევა და ცდები ატომგულის ფიზიკის დარგში და განავითაროს მუშაობა ატომის ენერგიის გამოყენებისათვის, აგრეთვე განახორციელოს რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

სხვა ქვეყნებში სამეცნიერო-საკვლევი ბაზების შექმნაში მონაწილეობა, მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში ეროვნული კადრების მოსამზადებლად დახმარების გაწევა საბჭოთა კავშირს არ მიაჩნია კომერციულ წამოწყებად და არ განაპირობებს პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიური ან სხვა ხასიათის რაიმე მოთხოვნებით. თუმცა ატომური ქვაბებისა და დამჩქარებლების კონსტრუქციების შემუშავებაზე საბჭოთა კავშირმა დიდი ხარჯი გასწია, მაგრამ მთელ მეცნიერულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას და გამოცდილებას საბჭოთა კავშირი სხვა ქვეყნებს გადასცემს მხოლოდ იმ ფაქტიური ხარჯების ანაზღაურებით, რაც დაკავშირებულია მისაწოდებული მოწყობილობისა და შესაბამისი დოკუმენტაციის დამზადებასთან.

კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის გაფაციროთოს იმ სახელმწიფოთა წრე, რომლებთანაც მას შეეძლება ითანამშრომლოს გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და დახმარების გაწევის საქმეში.

საბჭოთა მთავრობა მზარს უჭერს წინადადებას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო ორგანოს ან საგენტოს შექმნის შესახებ. იგი მზად არის შესაბამისი რაოდენობით შეიტანოს საერთაშორისო ფონდში ხელჩადი მასალები, როგორც კი მიღწეულ იქნება შეთანხმება ასეთი საგენტოს შექმნის შესახებ.

საგენტოში, საბჭოთა მთავრობის აზრით, მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა სახელმწიფოს, რომლებსაც სურთ თავისი წვლილი შეიტანონ საერთო საქმეში. ყოველ სახელმწიფოს, თუნდაც იგი არ იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და სპეციალიზებულ დაწესებულებათა წევრი, უფლება უნდა ჰქონდეს იყოს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტოს წევრი და ასეთი საგენტოს შექმნის ინიციატორი.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტოს შექმნის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც ერთი ქვეყანა ან ქვეყნების ჯგუფი არ იქნეს ჩაყენებული პრივილეგიურ მდგომარეობაში. საგენტო არ უნდა იყოს პოლიტიკური ან ეკონომიური ზეგავლენის იარაღი რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ხელში, რათა თავს მოახვიოს თავისი ნება სხვა სახელმწიფოებს.

საგენტოს საქმიანობა არ უნდა იყოს მიმართული სახელმწიფოთა უშიშროების საზიანოდ.

გათვალისწინებულ უნდა იქნას არსებული მჭიდრო კავშირი ატომის ენერგიის როგორც მშვიდობიანი მიზნით წარმოებასა, ისე სამხედრო მიზნით წარმოებას შორის და ის ფაქტი, რომ საგენტოს საქმიანობა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული საშიში ხელჩადი მასალების გამოყენებასთან და უზრუნველყოფილ უნდა იქნას საგენტოს საქმიანობისათვის ჯეროვანი მეთვალყურეობა და კონტროლი საერთაშორისო წარმომადგენლობითი ორგანოს მხრივ.

აღნიშნა რა იმის მიზანშეწონილობა, რომ საგენტო შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში და მოხსენებანი თავისი საქმიანობის შესახებ წარუდგინოს უშიშროების საბჭოს და გენერალურ ასამბლეას, კუზნეცოვმა მხარი დუჭირა დაინტერესებულ სახელმწიფოთა ექსპერტების თათბირს ამ საკითხების ერთობლივად განხილვისათვის, რომლებიც წამოიჭრება ატომის ენერგიის საერთაშორისო საგენტოს წესდების შემუშავებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, განაცხადა დასასრულ სსრ კავშირის წარმომადგენელმა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოგალეობაა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა საერთაშორისო თანამშრომლობის გასაფართოებლად ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში. ამასთან საჭიროა, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის საკითხს — ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებას. ამას მით უმეტეს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ატომური იარაღის გამოყენებისა და წარმოების აკრძალვა ყველაზე მეტად უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობის წარმატებას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, საბჭოთა დელეგაციას გენერალური ასამბლეის განსახილველად შემოაქვს რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

★ ★ ★

„გენერალური ასამბლეა,

ინიშნავს რა დიდ მნიშვნელობას მეცნიერების განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის ფართოდ განვითარებას,

აღიარებს რა, რომ ატომური იარაღის გამოყენებისა და წარმოების აკრძალვა და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მისი ამოღება დიდად შეუწყობს ხელს საერთაშორისო თანამშრომლობის ფართოდ განვითარებას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში, აგრეთვე ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შერბილებას და საერთაშორისო ნდობის ატმოსფეროს შექმნას,

აღნიშნავს რა კმაყოფილებით წარმატებას, რაც ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხების შესახებ მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის საქმეში მიღწეულია მეცნიერთა კონფერენციაზე, რომელიც 1955 წლის აგვისტოში მოეწყო ჟენევაში, და სახელმწიფოთა სურვილს — განაგრძონ და განავითარონ თანამშრომლობა ამ დარგში,

მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს განაგრძონ თავიანთი მეცადინეობა, რომლის მიზანია შეთანხმების მიღწევა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ,

გამოთქვამს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტოს რაც შეიძლება მალე შექმნის იმედს,

მიაჩნია სასურველად, რომ პერიოდულად მოწვეულ იქნას კონფერენციები გამოცდილების გასაზიარებლად სხვადასხვა დარგში — მეცნიერებაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ჯანმრთელობის დაცვაში და სხვ. ატომის ენერგიის ფართოდ გამოყენების საქმეში და ავალებს გენერალურ მდივანს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი კონფერენციის მოსაწვევად არაუგვიანეს 1957 წლისა,

მიაჩნია მიზანშეწონილად მეატომე მეცნიერთა საერთაშორისო პერიოდული ბეჭდვითი ორგანოს შექმნა, რომელიც მიეძღვნება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხებს, და ავალებს გენერალურ მდივანს მოაწყოს აღნიშნული ორგანოს გამოცემა 1956 წლის განმავლობაში“.

★ ★ ★

შემდეგ გამოვიდა კანადის წარმომადგენელი მარტინი. შეეხო რა ვ. ვ. კუზნეცოვის მიერ აღძრულ საკითხს, რომ საჭიროა ატომური იარაღის აკრძალვა, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის 10 მაისის წინადადებებს განიარაღების შესახებ, კანადის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საჭიროა განიარაღების მისაღები გეგმა. მაგრამ, დასძინა მან, განიარაღების საკითხი პოლიტიკური კომიტეტის დღის წესრიგში შეტანილია ცალკე პუნქტად.

მარტინმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი აპირებს მზარი დაუჭიროს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საერთაშორისო საგენტოს შექმნის იდეას, და